შპს გურამ თავართქილაძის სახელობისთბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

ტრეფიკინგისთვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლები

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი: მიხეილ ნათელაძე

ნაშრომის ხელმძღვანელი: პროფესორი თამარ ებრალიძე

თბილისი

2019

შინაარსი

ანოტაცია 2

Annotation

3

შესავალი 4

თავი I 7

ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა7

თავი II 9

პრობლემის კვლევა და ანალიზი 9

2.1. საკითხის ისტორია 9

თავი III 19

ტრეფიკინგის შემადგენლობის იურიდიული ანალიზი 19

3.1. ადამიანით ვაჭრობა 19

3.2. არასრულწლოვნით ვაჭრობა 31

3.3. ტრეფიკინგის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობა 45

თავი IV 50

ტრეფიკინგი და მომიჯნავე დანაშაულები 50

4.1. ტრეფიკინგი და ტრეფიკინგის მსვერპლის მომსახურებით სარგებლობა 50

4.2. ტრეფიკინგი და პროსტიტუციაზე დაყოლიება 52

4.3. ტრეფიკინგი და არასრულწლოვნის ჩაბმა მათხოვრობაში 58

თავი V 61

კვლევის შედეგები 61

დასკვნა 63

გამოყენებული ლიტერატურა 65

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეხება ტრეფიკინგისთვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლების ანალიზსს, სადაც განხილულია ტრეფიკინგის არსი და მისი ისტორიული ანალიზი, მისი სიმძიმე, საკითხის აქტუალურობა ჩვენს ქვეყანაში და მასთან ბრძოლის სხვადასხვა ხერხი.

ნაშრომი შედგება შესავლის, ხუთი თავის, შვიდი ქვეთავის, კვლევის შედეგებისა და დასკვნისაგან. ასევე მას ერთვის გამოყენებული ლიტერატურა. მთლიანობაში მოიცავს თაბახზე 65 გვერდს.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია გამოყენებული ლიტერატურა, ხოლო შემდეგი თავი კი მოიცავს, პრობლემის კვლევას და ანალიზს, სადაც წარმოდგენილია ტრეფიკინგის (ადამიანით ვაჭრობა) ისტორიული საფუძვლები, ხალხის და ქვეყნის

მმართველი პირების დამოკიდებულებები ამ საკითხის მიმართ და კანონები, რომლებიც მიღებულ იქნა ტრეფიკინგის აღმოსაფხვრელად.

ტრეფიკინგის შემადგენლობის იურიდიული ანალიზი არის ნაშრომის მესამე თავი, რომელიც აერთიანებს ადამიანით ვაჭრობის, არასრულწლოვნით ვაჭრობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობის საკითხებს. აღნიშნულ თავში განხილულია მუხლები, ტრეფიკინგის მეთოდები, არასრულწლოვნის ტრეფიკინგის ფორმები და მსხვერპლთა მდგომარეობა.

ნაშრომის მეოთხე თავი აღწერს ტრეფიკინგსა და მომიჯნავე დანაშაულებებს. აქ გამიჯნულია ზემოხსენებული ორი ერთმანეთისგან და დახასიათებულია კანონის ფორმებს შორის განსხვავება მათთან. მოიცავს შემდეგ საკითხებს: არასრულწლოვნის ჩაბმა პროსტიტუციაში, მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობა და არასრულწლოვნის ჩაბმა მათხოვრობაში.

ნაშრომის მეხუთე თავი ასახავს კვლევის შედეგებს და პასუხობს დასახულ მიზნებსა და ამოცანებს. ხოლო, ბოლოს წარმოდგენილია აღნიშნული შედეგები დასკვნების სახით. ნაშრომი დასასრულს არის ბიბლიოგრაფია.

Annotation

The Master's thesis deals with statutory responsibility for the legal basis foe analysis. For a discussion of human trafficking and its historical analysis, its severity, the relevance of the issue in our country and fight against a variety of ways.

The work consists of the introduction, the five chapters, the seven subjects, the results of the research and the conclusion. Also included in the literature used. In total there are 65 pages on Tabakh.

The first chapter of the work examines the literature used, and the next chapter covers the problem of research and analysis, which presents the historical basics of human

trafficking, the attitudes of the people and the country's governments and the laws that have been adopted to eradicate trafficking.

Legal analysis of trafficking is the third chapter of the work, which combines the issues of use of human trafficking, minors and trafficking victims. This chapter deals with articles, trafficking methods, moribund trafficking forms and victims' condition.

The fourth chapter of the work describes trafficking and adjoining crimes. Here are separated from each of the two above and are characterized by the difference between the forms of law. Include the following issues: involvement of juveniles in prostitution, use of victims' service and involvement of juveniles.

The fifth chapter of the work outlines the results of the research and answers the goals and objectives of the project. Finally, these results are presented as conclusions. The end of the work is bibliography.

შესავალი

კვლევის აქტუალობა.დღევანდელ მსოფლიოში ტრეფიკინგი (ადამიანით ვაჭრობა) განიხილება, როგორც მონობის თანამედროვე, სახეშეცვლილი ფორმა. უპირველეს ყოვლისა, მთავარია გავიაზროთ,თუ რამდენად მძიმეა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის სიმძიმე. ამ დროს, უხეშად ირღვევა ადამიანის ყველანაირი ფუნდამენტური უფლება, როგორიც არის თავისუფლება, პატივი, ღირსება და ა.შ. უმეტესწილად, ტრეფიკინგი გამოიხატება ადამიანის ფსიქოლოგიური და ფიზიკური იძულებით, შეასრულოს რაიმე ქმედება თავისი სურვილისგან

დამოუკიდებლად. მონურ მდგომარეობაში ყოფნა, თავისუფლების აღკვეთა, პატივისა და ღირსების შელახვა ანადგურებს ადამიანის როგორც ჯანმრთელობას, ასევე ფსიქიკას და როდესაც ეს პრობლემა არის წამოწეული წინა პლანზე, შეუძლებელია ამ დროს ვისაუბროთ სხვა ღირებულებებზე.

ტრეფიკინგი განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის საქართველოს, რაც გამოწვეულია ქვეყნის მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობით და ჯერ კიდევ რთული ეკონომიკური ვითარებით. აღნიშნული მდგომარეობა სახელმწიფოს მხრიდან მოითხოვს სწრაფ და გააზრებულ რეაგირებას, რათა შემუშავებულ იქნას აღნიშნულ დანაშაულთან ბრძოლის, მსხვერპლის გამოვლენის, დაცვისა და რეაბილიტაციის სწორი სახელმწიფო პოლიტიკა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანით ვაჭრობა, როგორც კვლევის ობიექტი, ახალი მოვლენაა, შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობაში ტრეფიკინგმა თავისი ადგილი მხოლოდ 21-ე საუკუნეში დაიმკვიდრა, რაც ძალიან სამწუხარო ფაქტია და, რაც გვაძლევს საფუძველს, ეჭვი შევიტანოთ კანონმდებლობის სრულყოფილებაში და წარმოვაჩინოთ ტრეფიკინგთან ბრძოლის პოლიტიკისა და შესაბამისად კანონმდებლობის დახვეწის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, რისთვისაც საჭიროა აღნიშნული ფენომენის მიზეზებისა და პირობების შესწავლა და ტრეფიკინგის თავიდან აცილების გზებისა და საშუალებების დადგენა.

თემის აქტუალობა განპირობებულია ბოლო პერიოდში ადამიანით ვაჭრობის, როგორც მოვლენის გამწვავებით, რასაც ხელი შეუწყო დღევანდელმა ეკონომიკურმა ვითარებამ. როგორც ცნობილია, ადამიანური რესურსი წარმოადგენს ეკონომიკის ერთ-ერთ ძირითად მამოძრავებელ ძალას, ხოლო ეკონომიკაში კონკურენციის პირობებში, მუშახელის ხელმისაწვდომობა და ღირებულება, ფასი განსაზღვრავს წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას და შესაბამისად მის სარფიანობას ბაზარზე. აღნიშნულმა წარმოშვა მოთხოვნა იაფ მუშახელზე, რაც ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფებისგან შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ისინი ძირფესვიანად იცნობენ არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას და ავითარებენ დანაშაულებრივ საქმიანობებს, რომლებიც შედარებით ნაკლებ ინვესტიციას მოითხოვს და დიდ

ინვესტიციას იძლევა. აღნიშნულმა დანაშაულებრივმა ჯგუფებმა მოახერხეს ისეთი მასშტაბების მიღწევა, რომ ტრეფიკინგი ნომერ მესამე დანაშაულად იქცა მსოფლიოშო არაკანონიერი გზით შემოსავლის მიღებით. სწორედ ამ მნიშვნელოვანი პრობლემის, დანაშაულის შესწავლა და აღმოფხვრა იქცა 21-ე საუკუნის დასაწყისის აქტუალურ საკითხად.

დასახული მიზნები. აღნიშნულინაშრომიმოკრძალებულიცდაიმისა, რომადამიანითვაჭრობა (ტრეფიკინგი) შესწავლულიქნესუფროსიღრმისეულადდამოხდესმისიშემადგენელიელემენტებისკრიმ ინოლოგიურიანალიზი. ასევეთემისმიზანიატრეფიკინგის (ადამიანითვაჭრობის) დანაშაულის,ადამიანისფუნდამენტურუფლებათადათავისუფლებათადარღვევისჭრილ შიგანხილვა,
ადამიანითვაჭრობისდანაშაულისსაერთაშორისოდაეროვნულიკანონმდებლობითგათ ვალისწინებულდეფინიციათაშეპირისპირება. ნაშრომიმიზნადისახვას, რომსაქართველოშიჩამოყალიბდესტრფეიკინგთანბრძოლისდამისიშედეგებისაღმოსა ფხვრელადსაჭირორეკომენდაციებიდაგაანალიზდესსამართლებრივიბაზაადამიანითვ აჭრობასთანმიმართებით.

კვლევის ამოცანები. ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე კვლევის ამოცანებია: ტრეფიკინგის და მასთან დაკავშირებულ შეამდგენლობათა იურიდიული დახასიათება, ტრეფიკინგის წარმოშობისა და გავრცელების ისტორიის, შიდა და საერთაშორისო ტრეფიკინგის დეფინიციებისანალიზი,ასევე საქართველოში ტრეფიკინგით დაკავებული დაჯგუფებების კრიმინოლოგიური დახასიათება, მათი საქმიანობის არეალის, სტრუქტურის, მათ მიერ გამოყენებული საშუალებებისა და მეთოდების შესწავლა და ანალიზი.

კვლევის მეთოდები. ნაშრომზე მუშაობისასგავეცანი ქართველ მეცნიერთა სტატიებს, ნაშრომებს, კვლევებს. რა თქმა უნდა, საერთშორისო კანონმდებლობას, საერთაშორისოსამართლებრივ აქტებს, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კონვენციებს.შევისწავლე საქართველოში ადამიანით ვაჭრობის გავრცელების ისტორია. გავეცანი საქართელოში მოქმედ აქტებს, გავაანალიზე

საკანონმდებლო ნორმები. შევადარე ერთმანეთს ჩვენი ქვეყნისა და სხვა ქვეყნის კანონმდებლობა, რაც დამეხმარა უკეთესად გამეანალიზებინა დანაშაულის არსი.

თავი I

ლიტერატურისმოკლეემიმოხილვა

კვლევის დროს გამოყენებულ იქნა, როგორც ქართული ისე უცხოური კანონმდებლობა. გამოყენებულ იქნა: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I.

ბაჩანა ჯიშკარიანის, მარინა მესხის, დოდო ჯულუხაძის, ოთარ გამყრელიძის, ჯემალ ჯანაშიას, მერაბ ტურავას, მიხეილ ბაძაღუას, ირინა ხერხეულიძის, გ.ლობჟანიძის, გ.მამულაშვილის და სხვათა ნაშრომები. გამოყენებულია ასევე სტატიები, ინტერნეტ წყაროები და სხვ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, თემაზე მუშაობისას გავეცანი ავტორთა კოლექტივის მიერ დაწერილ სახელმძღვანელოს „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი". აღნიშნული წიგნის დამსახურებაა, რომ ერთი წიგნის წაკითხვით გავეცანი სხვადასხვა ავტორის მოსაზრებებს ჩემი თემის ირგვლივ. ასევე, საქართველოს სასამართლო პრაქტიკის გაანალიზების მიზნით გამოვიყენე ავტორთა კოლექტივი „სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი", დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ.

მნიშვნელოვანია სახელმძღვანელო „ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში", სადაც აღნიშნულ თემაზე ამომწურავად და ნათლად აქვთ ავტორებს ჩამოყალიბებული ის საკითხები, რაც დამეხმარა საკითხის უკეთ გარკვევაში.

ასევე გავეცანი ბაჩანა ჯიშკარიანის ნაშრომს, რომელიც ეხება ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს. ავტორი არა მარტო ზოგადად განიხილავს კანონით აკრძალულ ამა თუ იმ ქმედებას, არამედ მეტი თვალსაჩინოებისთვის მოყავს მაგალითები ქართული თუ ევროპული სასამართლო პრაქტიკიდან, რაც მკითხველს აძლევს საშუალებას უკეთ გაიაზროს კონკრეტული დანაშაულის სიმძიმე, მისი მნიშვნელობა და მისგან გამოწვეული შედეგები.

თემაზე მუშაობისას გავეცანი სხვადასხვა სტატიებს, ჟურნალებს (მაგალითად, „ცხოვრება და კანონი", საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი), ასევე უცხოურ თუ ქართულ ინტერნეტ ვებგვერდებზე განთავსებულ სტატიებს, რომლებიც დამეხმარა უკეთ გამეანალიზებინა ბოლო წლებში განვითარებული მოვლენები.

როგორც ვიცით, იურისპრუდენცია არ არის ზუსტი მეცნიერება, რის გამოც ამ დარგში აზრთა სხვადასხვაობაა. უამრავი მოსაზრება არსებობს, რომელიც მთლიანად

თუ ნაწილობრივ მაინც განსხვავდება ერთმანეთისგან. რა თქმა უნდა, თემის კვლევისას მეც აღმოვაჩინე მსგავსი ფაქტები და უფრო ჩავუღრმავდი ჩვენი თუ სხვა ქვეყნის სასამართლო პრაქტიკას, რაც თემაში ჩანს.

თავი II

პრობლემის კვლევა და ანალიზი

2.1. საკითხისისტორია

მთელს მსოფლიოში, როგორც ცნობილია, მონობას და მონებით ვაჭრობას დიდი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ადამიანთა მოდგმისათვის დასაბამიდანვე დამახასიათებელი იყო ძლიერის მიერ სუსტის ჩაგვრა. ძლიერის მიერ სუსტის მონური შრომის გამოყენება იძულების, ჩაგვრის გზით, რაც ადამიანში ზის და მისი ცხოველურ გადმონაშთად შეიძლება მივიჩნიოთ. მაგალითად, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1790 წელს დაწერილ ხამურაბის კანონებშიც გვხვდება მონათმფლობელობის დამარეგულირებელი კანონები, კერძოდ კანონთა კრებულის მეჩვიდმეტე მუხლში ნათქვამია:[1]

„უკეთუ კაცმა გაპარული მონა, ანდა მონა ქალი ქალაგარეთ დაიჭირა და პატრონს მიჰგვარა, მონის პატრონმა 2 შიკლი ვერცხლი უნდა მისცეს“.

კანონთა კრებულის მეჩვიდმეტე მუხლი ასევე გვამცნობს - „თუ მონა არ ასახელებს თავის პატრონის ვინაობას, მაშინ მპოვნელმა უნდა მიიყვანოს იგი სასახლეში, სადაც გაირკვევა მისი მფლობელის ვინაობა და დაუბრუნდება ის მას“.

„და თუ მპოვნელი არ დააბრუნებს გაქცეულ მონას და მას მიაკვლევენ მპოვნელის სახლში, მაშინ მპოვნელი სიკვდილით დაისჯება“ მუხლი 19 და ა.შ.

როგორც ვხედავთ, ბაბილონში ხამურაბის მეფობის დროს კარგად იყო რეგულირებული მონათა სამართლებრივი მდგომარეობა და მონათმფლობელობა ჩვეულებრივ, ფართოდ გავრცელებულ მოვლენას წარმოაგენდა.[2]

მონების შრომაზე, მათ ექსპლუატაციაზე იდგა რომის უზარმაზარი იმპერიაც, სადაც მონები მრავალად ჰყავდათ. რომაელებს მონები საგნებთან ჰყავდათ გაიგივებული და მათ „მოლაპარაკე იარაღს“ უწოდებდნენ. ისინი მათ იყენებდნენ, როგორც საგნებს, ასევე ნებისმიერ დროს შეეძლოთ გაეყიდათ, გაეჩუქებინათ, მზითებში გატანებინათ, გაექირავებინათ და ფიზიკურად გაენადგურებინათ.

---

[1]მიხეილ ბაძაღუა. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინოლოგიური დახასიათება. საქართთველოს მაგალითზე. თბილისი. 2010.

[2]იხ.იქვე; გვ.22 - 25

მონების ყოფა-ცხოვრებაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იტალიელი მწერლის რაფაელო ჯილოვანის მიერ 1874 წელს დაწერილი ისტორიული მოთხრობა „სპარტაკი“, რომელიშიც აღწერილია ქრისტეშობამდე 110 წელს დაბადებული გლადიატორის, სპარტაკის ისტორია.

ადამიანით ვაჭრობა შუასაუკუნეებში, XIV – XVI სს, ევროპაში აკრძალული იყო. ეს განპირობებული იყო გარკვეულწილად ქრისტიანული რელიგიით, მაგრამ ახალი იმპულსი მონურ შრომას და მონებით ვაჭრობას, კოლონიური მსოფლიოს რუკაზე ამერიკის აღმოჩენამ მისცა. ევროპელებმა, განსაკუთრებით ესპანელებმა იჩინეს თავი და დაიწყეს მკვიდრი მოსახლეობის მონური შრომის გამოყენება. როგორც ცნობილია, 1518 წელს ესპანეთის მეფე ჩარლზმა გასცა სპეციალური სამეფო ნებართვა და დაიწყო 350 წლიანი ტრანს-ატლანტიკური მონათა ვაჭრობა. [3]

უკვე მე-19 საუკუნის დასაწყისში მონობით ვაჭრობის გაუქმება დაიწყეს. 1809 წელს ამერიკის შეერთებული შტატებიდან მონების გაყვანა აკძალა კონგრესმა, რა დროსაც იქ დაახლოებით 4 მილიონი მონა ირიცხებოდა. საბოლოოდ ამერიკაში სამოქალაქო ომის დროს 1863 წელს პრეზიდენტ აბრაჰამ ლინკოლმა გააუქმა მონობა. მანამდე დიდმა ბრიტანეთმა 1833 წელს აკრძალა მონობა სახელმწიფოში, საფრანგეთმა 1848 წელს და ყველაზე ბოლოს ამერიკის ტერიტორიაზე ეს ბრაზილიამ განახორციელა 1888 წელს. ნავარაუდევია, რომ ტრანსატლანტიკურ მონებით ვაჭრობის მსხვერპლთა რიცხვი იმ დროისთვის 11 მილიონი ადამიანი იყო.[4]

საქართველოშიც, როგორც მთელს მსოფლიოში, მონებით ვაჭრობას დიდი ისტორია აქვს და უხსოვარი დროიდან იყო აღნიშნული საკითხი აქტუალური. ჯერ კიდევ ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულში შემავალ ერთ-ერთ ნორმათა კრებულში ნათქვამია: „ნასყიდი ყრმა მიდღეში სასამართლოში არ მიიყუანება და ვერცავინ მოკლავს მოსამართლე, და არცა უფლება აქუს. თავისის ბატონის

[3]დოლიძე ი. 1963. ქართული სამართლის ძეგლები. თბილისი. ტომი I.
[4]მიხეილ ბაძაღუა. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინოლოგიური დახასიათება. საქართთველოს მაგალითზე. თბილისი. 2010.გვ.23

საქონელზედ მოსამართლე ვერას აწყენს, ამისთვის რამეთუ ნასყიდია და არა აქუს რა - ნურცა რას მისცემ, ნურცა რას სთხოვ.

უკეთუ სუბუქი დანაშაული რამ ქონდეს ნასყიდს ყრმასა ბატონისა მისისაგან შეენდობის, თუ თავისის ბატონის მორჩილი და მაამებელია, ანუ მისის განგებულისა.

ნასყიდი ყრმა არავისთან იჩივლებს და ვერც მისგან იჩივლებს ვინემე მოსამართლესთანა - თუ საქმე ვისმეს აქუს, მის ბატონთან უნდა იჩივლოს".[5]

ნათლად ჩანს ნორმიდან, რომ იმ დროისთვის ადამიანს, რომელიც მონად იწოდებოდა არანაირი უფლება არ ჰქონდა და მისი პატრონი განაგებდა მას როგორც ნივთს, თავისი სურვილისამებრ.

ასევე უნდა ითქვას, რომ იმ დროის საქართველოში მონად გახდომის ძირითადი მიზეზი იყო ვალის არსებობა, წარმოშობა, მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში პირისპირ ან ომში დამარცხება და სხვა. მაგალითად, მხითარ გოშას სამართალში, წერია, რომ „მოლაშქრე კაცმან ომში ვინც დაინარჩუნოს კაცი, დარჩომილი კაცის იარაღი, ტანისამოსი, ცხენი, ვინც დაინარჩუნოს, მისი იყოს, და კაცი, ჯაჭვი და მუზარადი ხელმწიფეს მიართვან".[6]

მსგავსი საკითხია მოგვარებული ვახტანგ მეექვსის სამართლის კრებულში, სადაც ნათქვამია: „ლაშქარში დანარჩუნებულს კაცსა და იარაღზე ირჩოდნენ, მისი ასე იქნას. თუ კაცმან კაცი დაინარჩუნოს ცოცხალი, თუ ანუ მოკლას, მისი ცხენი, იარაღი, ტანისამოსი დამნარჩუნებლისა არის; ჯაჭვი, ზუჩი, მუზარადი და ამგვარი ხელმწიფისა არს, - მძიმე თვალი თუ მარგალიტი".[7]

ცნობილი მკვლევარი, ი. დილიძე „ქართული სამართლის ძეგლებში" ტომი I , მიუთითებს, რომ ადამიანი საქართველოში, ისევე როგორც ძველ რომში, წარმოადგენდა პატრონის-დიდებულის საკუთრებას და ქონების ერთ-ერთი ფორმა იყო და ნებისმიერ დროს შეეძლოთ გაეყიდათ ან გაესხვისებინათ. ადამიანებით

[5]დოლიძე ი. 1963. ქართული სამართლის ძეგლები. თბილისი. ტომი I.
[6]დოლიძე ი. 1953. ძველი ქართული სამართალი. თბილისი.
[7]იხ. იქვე

ვაჭრობამ მე-15-მე-16 საუკუნიდან დაწყებული ჩვენს ქვეყანაში საშიში მასშტაბები მიიღო. უამრავი ქართველი სხვადასხვა ქვეყნების, როგორიც იყო ოსმალეთი, სპარსეთი, ეგვიპტე, ტყვეთა ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი იყო.

ისტორიიდან ნათლად ჩანს, საქართველოს მშვიდობიან მოსახლეობას აწიოკებდნენ არაერთი მოდგმის მომთაბარეები, იტაცებდნენ ხალხს, მიჰყავდათ პირუტყვები. ძირითადად ახალგაზრდა ადამიანები გასაყიდად უნდოდათ. იმ დროისთვის კი ქართველი ახალგაზრდები ყველაზე მოთხოვნადი იყო. „ადამიანებზე ნადირობა“ ჩვეულებრივ მოვლენად იყო ქცეული, რაც კატასტროფულ რეალობას ქმნიდა და აღნიშნული მდგომარეობა იგრძნობოდა ფეხის ყველა ნაბიჯზე.

დ.ბაქრაძე აღნიშნავს, რომ:

„მაჰმადიანი შავი ხალხები ძლიერ ეტანებოდნენ ჩვენს ხალხს, ქართველთა შვილებით ამშვენებდნენ თავიანთ მოდგმას“.[8]

ხოლო მამრობითი სქესის წარმომადგენლები ხშირად ეგვიპტეში მამლუქებად გვევლინებოდნენ. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მეთოთხმეტე საუკუნიდან ეგვიპტეში მამლუქების უმრავლესობა ქართველი იყო. და ასევე მათ მეთოთხმეტე, მეთექვსმეტე საუკუნეებში დიდძალი სიმდიდრე ჩაიგდეს ხელში და ეგვიპტეს ქართველი წარმოშობის მამლუქები მართავდნენ. [9]

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ადამიანებით ვაჭრობასთან ბრძოლაში დიდი წვლილი მიუძღვის „კათალიკოსთა სამართალს“. იგი მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე კრძალავდა ადამიანებით ვაჭრობას, ხოლო დამნაშავეს მკაცრად სჯიდნენ.

კერძოს მის მუხლში - 1. (კაცი სყიდვისა ესე გავაჩინეთ) არის ჩამოყალიბებული შემდეგი: „1. ქ. რამანც კაცმა კაცი გაყიდოს, ანუ დიდმან, ანუ მცირემან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან და ან გლეხმან, წმიდათა კრებულთაგან შეჩუენებულ იყოს და განხდილი.

---

[8] ბაქრაძე ლ. 1878. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში

[9]დიდი საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი 15. მოსკოვი 1974.

რასაც კაცს მართლით განკითხვითა და გამოძიებითა კაცის ჰყიდვა გამოაჩნდეს, თუ ის კაცი დაიხსნას და მოიყუანოს, მისსა საყდარსა და ებისკოპოსს დაუურვოს, რა ერთიც ძალ-ედვას, დამკლების უფალსაცა დაუურვოს."

„კათალიკოსთა სამართალში" ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო წამოწეული წინ, კერძოდ, „და თუ ვერ მოიყვანოს, ვინ გინდა ვინ იყოს, თავადიშვილი, უნდა აზნაურიშვილი, უნდა გლეხი, მაშინაც ვერამ საქმემ ვერ იხსნას, უკანონოდცა არს, - ძელს მიეცეს." ნათლად ჩანს, რომ კანონი ვრცელდებოდა ყველაზე, განურჩევლად მათი წარმომავლობისა და კანონი ითვალისწინებდა უმკაცრეს სასჯელს. მათ შორის სიკვდილით დასჯას. [10]

ჩვენს ქვეყანაში იმ დროს, მდგომარეობა იმდენად საშიში იყო, რომ საჭირო გახდა უმკაცრესი ზომების მიღება. აღსანიშნავია სოლომონ პირველის რეფორმები ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ. მან „აღმოკვეთა კნინღა ორნი დიდი ბოროტმოქმედებანი სრულიად იმერეთსა შინა, ესე იგი კაცთა კვლა და მპარვიანობა".[11] მან დასავლეთ საქართველოს დიდებულებს: ერისთავ როსტომს, გიორგი ბატონიშვილს, კაცია დადიანს, გურიელ მამიას, თეიმრა ბატონიშვილს და კიდევ ბევრ სხვა დიდებული გვარის წარმომადგენელს 1759 წლის 30 დეკემბერს დაადებინა პირობა, ხელწერილი ტყვეებით ვაჭრობის თაობაზე, სადაც ეწერა, რომ:

„სანამდის სული გვიდგას, ეს საქმე ჩვენგან არ იქნეს, არც ამაში ერთმანეთს უსუსტოთ, კიდეც ერთმანეთს მოუდგეთ, კიდეც მეფე სოლომონის მორჩილ და ბრძანების აღმასრულებელი ვიქნეთ და გულის წმინდით ერთმანეთს მოუდგეთ ამაზე, და არას შეწუხებისა და გაჭირვეებისთვის ჩვენ ერთმანეთს არ ვუმტყუნოთ და ამ საქმეზედ ჩვენი თავი არ დავიშუროთ, და ამ საქმეშიდ ჩვენს ხელმწიფეს მეფე სოლომონს არ გისუსტოთ და არც ამასთანა საშინელი ცოდვა ჩვენგან იქნეს. ასე პირობა და სიტყვა მოგვირთმევია ღმრთისა და კაცისთის..." [12]

---

[10]ი. დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები. ტომი I. თბილისი 1963. გვ 393

[11]საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი IV. თბილისი 1973.

[12]დოლიძე ი. 1963. ქართული სამართლის ძეგლები. თბილისი VI

საქართველოს მთავარმა, ლევან დადიანმა, რამდენჯერმე სცადა ტყვეებით ვაჭრობის აკძალვა 1812-1816 წლებში, მაგრამ უშედეგოდ, რადგან მეზობელი რეგიონის მთავრები, თითქმის საერთოდ არ ემორჩილებოდნენ მას. ცოტა მოგვიანებით, ასევე სამეგრელოს მთავარი დავით დადიანი ცდილობდა აღმოეფხვრა ადამიანთა ვჭრობა და ადამიანით მოვაჭრეებს მკაცრი სასჯელით ემუქრებოდა. ასევე მან 1842 წლის 10 ნომბერს გამოსცა ბრძანება „ადამიანის დაგირავების აკძალვის შესახებ“, სადაც წერია:

„აღეკძალვის ყოველთა ესევითარი, რომელნი არიან მამა შვილისა, გინა ძმა ძმასა და ნათესავი ნათესავსა, ანუ კაცი სულსა ვერ დააგირავებენ“.[13]

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში, შემოღებულ იქნა ბეგარა ტყვეობაში ჩავარდნილების დასახმარებლად, მათ გამოსასყიდად. გადასახადს „სატყვეო“ ეწოდებოდა. კონკრეტული მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ 1789 წელს ერეკლე მეორის მიერ შექმნილი სპეციალური ფონდი „ლეკთა მიერ წარტყვევნილი და დაღესტანსა და ირანში გაყიდული ქართველების დასახმარებლად“. [14]

აღნიშნული ეპოქის საქართველოში ადამიანით ვაჭრობას ადასტურებს მრავალი ცნობილი ლიტერატურული თუ ისტორიული მოთხრობა. მაგალითად, როგორიცაა, იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა“, რომლის კინოეკრანიზაციაც ყველამ კარგად ვიცით, ასევე კ. თათარაშვილის „მამლუქი“, გრგოლ რჩეულიშვილის „თამარიანი“, „ქართლის ცხოვრება“ - დავით გურამიშვილის პირადი ცხოვრება. როდესაც 1729 წელს ლეკებმა დაატყვევეს და გაყიდვის მიზნით ერთ-ერთ სოფელში ჰყავდათ დამწყვდეული.[15]

---

[13]მიხეილ ბაძაღუა. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინოლოგიური დახასიათება (საქართველოს მაგალითზე). თბილისი 2010. გვ-26

[14] ჯემალ ჯანაშია. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო და შიდა ეროვნული სამართლებრივი მექანიზმები და რეგულაციები. თბილისი. 2015 წ. გვ - 10-11

[15] მიხეილ ბაძაღუა. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინოლოგიური დახასიათება (საქართველოს მაგალითზე). თბილისი 2010

ადამიანით ვაჭრობის პრობლემას ნაშრომები და სტატიები მიუძღვნეს ასევე ქართველმა, პროფესორებმა, მეცნიერებმა და მკვლევარებმა: ექვთიმე თაყაიშვილმა, დავით ბაქრაძემ, ივანე ჯავახიშვილმა, ს.კაკაბაძემ, ნ.დადიანმა, მ. თამარაშვილმა, პ.გუგუშვილმა, ნ.ბერძენიშვილმა, ი.მეუნარგიამ, მ.დუმბაძემ, ვ.გაბაშვილმა, ი.დოლიძემ, ს.ბერიძემ, გ.ძიძარიამ, მ. რეხვიაშვილმა, ა.კილასონიამ და სხვებმა, რაც პრობლემის აქტუალობასა და მნიშვნელობაზე მიუთითებს.

კავკასიის შესახებ, უახლოეს გეოგრაფიულ და ისტორიულ ცნობათა შემკრები და გამომცემელი ს.ბრონევსკი საქართველოში ადამიანებით ვაჭრობის შესახებ 1810 წლეს წერდა, რომ „ლეკებს ტყვეები „ჭარიდან“ გაჰყავთ საქართველოზე, ტყეებსა და მთებში დაფარული გზებით ახალციხეში და აქედან შავი ზღვის ნავსადგურებში ბათუმსა და ფოთში.“ ასევე განაგრძობს იგი - „ მაგრამ იმ მიზნით, რომ გაიმრავლონ ტყვეები საქართველოს მცხოვრებთა გატაცებით, ისინი რაზმებად იყოფიან: ერთნი ტყვეებს აცილებენ, ხოლო მეორენი ახლების წარტყვევნა-მოტაცებას ახორციელებენ.

ჩვენმა ჩრდილომეზობელმა, რუსეთმა, რომელიც იმ დროს „გეორგიევსკის ტრაქტატის“ მიხედვით საქართველოს ე.წ. მოკავშირედ ითვლებოდა ვერ მოსპო ჩრდილოელი მომთაბარე ტომების თარეში საქართველოში. ამას ადასტურებს ლოფიცკი, მეფის ოფიცერი, რომელიც 1806 წელს წერდა: „სოფლის მოსახლეობა, რომელიც თავს იმით იიმედებდა, რომ რუსეთის ჯარი უზრუნველჰყოფს, მას ლეკებისგან, რომელნიც იტაცებნდნენ მეტადრე ზაფხულობით მინდვრად მუშაობის დროს, ოჯახებს, ქონებასა და არა იშვიათად სიცოცხელსაც ემუქრებოდნენ, ვერ გაუმართლდა იმედები“. [16]

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის არსებობის დროს, ადამინებით ვაჭრობა პრაქტიკულად შეჩერებული იყო, თუმცა ძნელად ხელმისაწვდომ რეგიონებში ტრეფიკინგს მრავლად ჰქონდა ადგილი, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზეც -

[16] პაატა გუგუშვილი, ტყვეობით ვაჭრობა საქართველოში, მნათობი, N11.ნოემბერი 1938წ.

ზემო სვანეთი, მთიანი აჭარა და სხვა მაღალმთიან რეგიონებში, რაც კრიმინოლოგიური საზოგადოებისთვის კარდაგ ცნობილ ფაქტს წარმოადგენდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოსთვის ტრეფიკინგთან დაკავშირებული პრობლემები კვლავ აქტუალური გახდა. ქვეყნის ეკონომიკა იყო განადგურებული და არ ჰქონდა არანაირი რესურსი. ეკონომიკის განადგურებამ გამოიწვია ტოტალური უმუშევრობა, უმუშევრობამ კი გაზარდა კრიმინალი. გაიზარდა დანაშაულის საერთო მაჩვენებელი. ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებას აღარ შეეძლო ემართა ქვეყანა.

1992 წელს მოხდა სამწუხარო ფაქტი, სამოქალაქო ომი, ამ პერიდოში რუსეთის დახმარებით და მითითებით, სეპარატისტულმა ბანდებმა პროვოცირება გაუკეთეს ვითომდა ეთნიკურ კონფლიქტებს, რაზეც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება წამოეგო და სეპარატისტებთან დაპირისპირებამ გამოიწვია არაკონტროლირებადი ტერიტორიების გაჩენა ქვეყანაში: აფხაზეთსა და შიდა ქართლში. დაძაბული სიტუაცია იყო ქვეყანაში ამ მდგომარეობაში, დაიძრა შიდა მიგრაციული პროცესები, 300 000-ზე მეტი ადამიანი ზემოთ ხსენებული რეგიონებიდან გაძევებულ იქნა და სხვადასხვა რეგიონებში იქცნენ ლტოლვილებად.

ყველაფერმა ამან გამოიწვია მოსახლეობის უკიდურესი გაღატაკება. „ცხოვრების დონე საქართველოში 1988 წლიდან 1998 წლამდე შემცირდა 7-ჯერ, მთლიანი შიდა პროდუქტი - 2,250 დოლარიდან 370 დოლარამდე წელიწადში ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით, რის შედეგად მოსახლეობის 80%-მდე აღმოჩნდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, ღებულობენ რა საარსებო მინიმუმზე ნაკლებს, დაახლოებით 50 დოლარს თვეში“.[17]

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, ეკონომუკირმა სიდუხჭირემ, ტოტალურმა უმუშევრობამ და სიღატაკემ 90-იანი წლების საქართველოში წინა პლანზე წამოიწია პროსტიტუციის მსხვერპლი და უპატრონო ბავშვების პრობლემა, რაც ართულებდა უფრო მდგომარეობას. სწრაფად გაიზარდა ქუჩის პროსტიტუტთა რიცხვი,

[17] საქართველოს სტატისკის დეპარტამენტის ვებ გვერდი. www.statistics.ge

რის შედეგადაც სტატისტიკის დეპარტამენტის და ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით, „1990 წლიდან - 1999 წლამდე ხუთჯერ გაიზარდა ვენერიულ დაავადებათა რიცხვი“.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, XXI საუკუნის დასაწყისში მილიონზე მეტი ადამიანით, თითქმის 25%-ით შემცირდა, რაც დემოგრაფიულ კატასტროფაზე მიუთითებს. მოსახლეობის გადინება სისტემატიური ხასიათის იყო, ძირითადად ბავშვები და შრომისუნარიანი ქალები გადიოდნენ საზღვარგარეთ და მომსახურების სფეროში საქმდებოდნენ. და აღსაშნიშნავია ის ფაქტი, რომ მათი არცთუ მცირე რაოდენობა აღმოჩნდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი. ზოგი იძულებით მონურ შრომაში იქნა ჩართული, სექსინდუსტრიაში, სამხედრო კონფლიქტებში, ლეგალურ თუ არალეგალურ საქმიანობაში, ზოგი ორგანოთა დონორებად გამოიყენებოდა, სუროგატ დედებად, უბრალოდ წამების ობიექტად და სხვა.

მსოფლიოს ისტორის წინა პერიოდში კარგად ჩანს, რომ ადამიანის ჩაგვრა ჩვეულებრივ საყოველთაო მისაღებ მოვლენას წარმოადგენდა და არ იწვევდა საზოგადოების უარყოფით შეფასებებს. დღევანდელობაში პრობლემას წარმოადგენს ტრეფიკინგის ის თვისება, რომ ჩადებული დანახარჯების სიმცირის ფაქტი ტრეფიკიორთათვის არ წარმოშობს დამონებული პიროვნების მოვლის ვალდებულებას. ამერიკელმა მეცნიერმა კევინ ბეილსმა ახალი მიდგომა ჩამოაყალიბა - „disposable people” - რომელიც შეიძლება ითარგმნოს, როგორც „ერთჯერადი გამოყენების ადამიანი“, რაშიც იგულისხმება, რომ თანმედროვე პირობებში, ძველი ეპოქისგან განსხვავებით, მსხვერპლთა უმოწყალო გამოყენება ხდება მათი სიცოცხლის ბოლომდე და სიცოხლის შემდოგმაც იგი შეიძლება შემოსავლის წყაროდ იქცეს, როგორც ორგანოთა დონორი.[18]

ტრეფიკინგის დანაშაულმა, როგორც ცნობილია, საერთაშორისო კვლევების მიხედვით მსოფლიოში გავრცელების მასშტაბებითა და ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების საშიშროებით, აგრეთვე მისგან მიღებული უკანონო შემოსავლების

[18] ჯემალ ჯანაშია. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო და შიდა ეროვნული სამართლებრივი მექანიზმები და რეგულაციები. თბილისი. 2015 წ. (პარაგრაფი 7)

ოდენობით მესამე ადგილი უკავია. იგი ჩამორჩება მხოლოდ ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობას. მაშასადამე, ტრეფიკინგი დღევანდელ მსოფლიოში ძალზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს და ყველა საერთაშორისო კვლევა მიუთითებს მის სავალალო შედეგებსა და მსხვერპლთა რაოდენობის ზრდაზე, „არსებული სარწმუნო წყაროების მონაცემებით, ტრეფიკინგში ჩართული დანაშაულებრივი ორგანიზაციები ყოველწლიურად, ღარიბი ქვეყნებიდან მდიდარი ქვეყნების მიმართულებით მილიონამდე ადამიანის არალეგალურ ექსპორტს ახორციელებენ“.[19]

თუ ადრეულ დროს მამრობითი სქესის ადამიანებზე იყო მოთხოვნა, დღვანდელობაში ქალები და ახალგაზრდები, ბავშვები ხდებიან ვაჭრობის მსხვერპლნი. ადრე თუ მონად გახდომა ძირითადად უცხო სახელმწიფოში გადაყვანით და იქ ექსპლოატაციით ხდებოდა, დღეს ადამიანთა ტრეფიკინგს ადგილი აქვს შიდა სახელმწიფოებრივადაც, ერთი რეგიონიდან მეორე რეგიონში, ძირითადად ისეთ ადგილებში, სადაც სახელმწიფოებრივი კონტროლი სუსტად ხორციელდება, სადაც კონფლიქტის ზონებია, როგორიც არის საქართელოს მაგალითზე რომ ავიღოთ, რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთი და ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთი, სადაც არ მოქმედებს არც ქართული და არც საერთაშორისო კანონმდებლობა და სადაც ძირითადად ძალადობის მსხვერპლს ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა წარმოადგენს.

XXI საუკუნის დასაწყისში მსოფლიო თანამეგობრობას ახალი იმპულსი მიეცა ეღიარებინა ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე სახეობის - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საშიში მასშტაბების არსებობა და დაიწყო ზომების გატარება. კერძოდ 2000 წლის 15 ნოემბერს გაერომ მიიღო კონვენცია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის“ შესახებ. ასევე იმავე წლის 12 დეკემბერს მისი დამატებითი ოქმი „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის“ შესახებ. 2005 წლის

[19] მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიში.

16 მაისს ევროკავშირმა მიიღო ევროპული კონვენცია „ადამიანებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“. [20]

თავიIII

ტრეფიკინგისშემადგენლობისიურიდიულიანალიზი

3.1. ადამიანითვაჭრობა

„ტრეფიკინგი“ ინგლისური სიტყვაა და ადამიანით ვაჭრობას ნიშნავს. საქართველოს კანონში „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ტრეფიკინგი გაიგივებულია ადამიანით ვაჭრობასთან, მაგრამ რა თქმა უნდა ტრეფიკინგი თავისი შინაარსით უფრო ფართო ცნებაა. ბევრი მეცნიერი აღნიშნავს, რომ არ არსებობს ტრეფიკინგის უნივერსალური ცნება. დ.ჯულუხაძე აღნიშნავს, რომ ტრეფიკინგი სისხლის სამართლის კოდექსის143^1-ე მუხლის მიხედვით უპირველესად შეიძლება გამოვლინდეს ადამიანის ყიდვა-გაყიდვაში, თუმცა არ აღნიშნავს იმას რომ ტრეფიკინგი ადამიანის შრომით თუ სექსუალურ ექსპლუატაციაში ჩაბმასაც გულისხმობს. მსოფლიო მასშტაბით შექმნილია მთელი რიგი დოკუმენტებისა, რომელიც ტრეფიკინგის აღმოსაფხვრელად არის მიმართული და მასთან ბრძოლის ხერხებს მოიცავს. მაგალითად, 1949 წლის ჟენევის კონვენცია „ადამიანით ვაჭრობისა და მესამე პირის მიერ პროსტიტუციის ექსპლუატაციასთან ბრძოლის შესახებ“, საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ბავშის უფლებების კონვენციის

[20] ჯემალ ჯანაშია. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო და შიდა ეროვნული სამართლებრივი მექანიზმები და რეგულაციები. თბილისი. 2015 წ.გვ-19.

დამატებითი ოქმი (2002 წლის 27 სექტემბერი), ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (2006 წლის 22 დეკემბერი) და სხვა.[21][22]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ევროსაბჭოსა და გაეროს კონვენციებზე დაყრდნობით 2006 წელს შევიდა ცვლილებები, კოდექსს დაემატა ორი მშნიშვნელოვანი მუხლი 143^1„ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)“ და 143^2 „არასრულწლოვანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)“. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) განმარტებულია შემდეგი სახით: „ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირება, გადამალვა, დაქირავება, ტრასპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით“.[23]

აღსანიშნავია, რომ ადამიანით ვაჭრობა - ტრეფიკინგი, წარმოადგენს ადამიანის უფელების დარღვევის ერთ-ერთ უმძიმეს შემთხვევას და ყოველთვის წარმოადგენდა გლობალურ პრობლემას. იგი მიეკუთვნება ტრანსნაციონალურ დანაშაულთა კატეგორიას და მთელი ცივილიზებული მსოფლიო მომართულია ამ დანაშაულის აღმოსაფხვრელად. ტრეფიკინგი არის ადამიანთა უფლებების სერიოზული დარღვევა, რომელიც მსხვერპლს აყენებს დიდ სულიერ და ფიზიკურ ზიანს, რომელიც ხშირად მისი აღდგენა სამედიცინო ჩარევის შემთხვევაშიც კი

[21] ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. თბილისი 2012. გვ 242-243.
[22] დ.ჯულუხაძე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ტრეფიკინგისთვის, თბ. 2006. გვ8-12.
[23] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. თბილისი 2018.

შეუძლებელი ხდება. აღნიშნული დანაშაული დიდი ხანია გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და საერთაშორისო ხასიათი მიიღო.[24]

ადამიანთა ვაჭრობის ყველაზე უფრო მძიმე ფორმებია სექსუალური ექსპლუატაცია, სოციალურად დაუცველი ადამიანების, უმწეოს ან ორსულის მოტყუება, და მძიმე სამუშაოებში მათი გამოყენება, ასევე მათი იძულება და დამონება. ხშირია ფაქტი, როცა მსხვერპლი ქალები და ბავშვები არიან. ამის თაობაზე 2003 წლის 22 დეკემბერს მიიღო ევროსაბჭომ გადაწყვეტილება, რომ კავშირში შემავალი ყველა სახლემწიფო ვალდებული იყო თავიანთ კანონში შეეტანათ კონკრეტული ცვლილებები, კერძოდ, დანაშაულად გამოეცხადებინათ გადაბირება, ტრანსპორტირება, თავშესაფრის მიცემა, სხვისთვის გადაცემა და სხვა მსგავსი მოქმედება, თუ იგი ჩადენილი იქნებოდა ძალის ან მუქარის ან იძულების სხვა ფორმის, მათ შორის გატაცების გამოყენებით, ასევე მოტყუებით, თაღლითობით, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით ან ადამიანის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, როცა ადამიანს არ შეუძლია აიცილოს თავიდან ასეთი ექსპლუატაცია.[25]

ზემოთ აღნიშნული ქმედებები მიზნად ისახავენ ადამიანის პირის გამოყენებას იძულებით შრომის ან მომსახურების გაწევაში, მონურ მდგომარეობაში მის ჩაყენებას, პროსტიტუციაში ჩაბმას ან სექსუალურ ექსპლუატაციას, ასევე პორნოგრაფიულ საქმიანობაში ჩართვას. ასეთი ქმედების განხორციელების დროს კვალიფიკაციისთვის არ აქვს მნიშვნელობა დაზარალებულის, მსხვერპლის წინასწარ თანხმობას. ისჯება, როგორც ამ დანაშაულის ბოლომდე მიყვანა, ასევე მცდელობაც. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება ასევე აღნიშნული დანაშაულის თანამონაწილეს, დამხმარეს, წამქეზებელს, რა თქმა უნდა, სიმძიმის მიხედვით განისაზღვრება სანქციები.[26]

---

[24] მარინა მესხი. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სამართლებრივი ასპექტები, მასთან ბრძოლის მეთოდები, გამოცდილება და პერსპექტივათა ხედვა. გვ 12-16.
[25] მარინა მესხი. გვ 58-60.
[26] მზია ლეკვეიშვილი. ნონა თოდუა. გოჩა მამულაშვილი. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი I. გამომცემლობა მერიდიანი. გვ. 113-115.

ტრეფიკინგისგან სისხლის სამართლის დაცვის ობიექტია, როგორც აღვნიშნეთ საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით აღიარებული ადამიანის პირადი უფლება და თავისუფლება, ასევე მისი პატივი და ღირსება. ფაკულტატური ობიექტია ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, რომესაც ტრეფიკინგის დროს ხშირად ექმნება საფრთხე.

დანაშაულის მსხვერპლი არის 18 წელს მიღწეული პირი. კანონში ცალკე მუხლი გვაქვს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არასრულწლოვნის ვაჭრობისათვის პასუხისმგებლობა, რაზეც შემდეგ გვექნება საუბარი.

დანაშაულის ამსრულებელია სისხლისამართლებრივ ასაკს მიღწეული შერაცხადი პირი, (სუბიექტი). სპეციალური სუბიეექტი კანონში გათვლისწინებულია დამამძიმებელ გარემობაში (მეორე ნაწილი „გ“ ქვეპუნქტი-სსამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით).

ადამიანით ვაჭრობა გადის რამდენიმე სტადიას:

1. მსხვერპლის მოძებნა და თავმოყრა;
2. მსხვერპლის გადაადგილება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარზე ტრანზიტით გადაყვანა;
3. მსხვერპლის მიღება ექსპლუატაციის მიზნით;
4. მისი ექსპლუატაცია.[27]

უნდა აღინიშნოს, რომ მსხვერპლის მოძებნა და თავმოყრა წინ უძღვის ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელებას. დამნაშავეები წინასწარ იკვლევენ, სწავლობენ პოტენციური მსხვერპლის პიროვნებას, მის მორალურ, ფიზიკურ მხარეს, ასევე ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, ასევე სწავლობენ მსხვერპლის ახლობელთა წრეს, რათა გაარკვიონ რამდენად შესაძლებელია ამ პირის ექსპლუატაციაში ჩაბმა. ეს წინარე ქმედება შეიძლება მხოლოდ დანაშაულის მომზადებად ჩაითვალოს.[28]

[27] მარინა მესხი. გვ 53-61.
[28] იხ;იქვე. გვ 117-121.

მაგალითად, ა-მ შექმნა ტურისტული კომპანია, რომელიც ემსახურებოდა ვითომ საზღვარგარეთ სამუშაოდ წამსვლელებს. რეალურად კი იგი იქ მისულ მოქალაქეებს საგულდაგულოდ არჩევს ექსპლუატაციისთვის, რათა მომავალში სხვადასხვა ხერხით მოახდინოს მათი გადაბირება, გადაყვანა ექსპლუატაციაში ჩასაბმელად. პოტენციური მსხვერპლის მძებნელი, როგორც წესი, თავად არ ახდენს მათ ექსპლუატაციას, არამედ მსხვერპლს გადასცემს სხვას, ვინც მიიღებს მას ექსპლუატაციისთვის. ამგვარი მსხვერპლის შერჩევა ჩაითვლება ადამიანით ვაჭრობის მომზადებად - სსკ-ის 18, 143^1-ე მუხლი.[29]

დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობაზე რომ გავამახვილოთ ყურადღება, უნდა დაიყოს შემდეგნაირად: ა) ქმედებები; ბ) მისი განხორციელების ხერხები. პირის მიმართ გამოყენებული ქმედებებია: 1. ყიდვა. 2. გაყიდვა. 3. გადაბირება. 4. გადაყვანა. 5. გადამალვა. 6. დაქირავება. 7. გადაცემა. 8. ტრანსპორტირება . 9. სხვა უკანონო გარიგების განხორციელება. 10. მიღება (ექსპლუატაციის მიზნით).[30]

განვიხილოთ ობიექტური შემადგენლობის განხორციელების ზემოთ აღნიშნული ფორმები. ადამიანის ყიდვა-გაყიდვა არის ის ფორმა, სადაც გამოკვეთილად ჩანს ტრეფიკინგის შინაარსი, კერძოდ დამნაშავის სურვილი თავის საკუთრებად, „ნივთად“ აქციოს მსხვერპლი და იგი სათავისოდ გამოიყენოს. როდესაც ყიდვა-გაყიდვის ფაქტი ხდება, აქ მნიშვნელობა არ აქვს რისთვის გამოიყენებენ ნაყიდ პიროვნებას, იქნება ეს მძიმე სამუშაო, სექსუალური მომსახურება თუ ნებისმიერი სხვა რამ.გადაბირება ამ შემთხვევაში თავისი შინაარსით გულისხმობს მსხვერპლის დათანხმებას მის ექსპლუატაციაზე. 143^1მუხლის პირველ ნაწილში ისე არის ჩამოყალიბებული, რომ გადაბირებისთვის უნდა იქნეს გამოყენებული ერთ-ერთი ის ხერხი, რომელიც იქვეა ჩამოთვლილი. მაგალითად ეს არის მსხვერპლის დაყოლიება

[29] მაგალითი მოყვანილია ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართლის წიგნიდან.
[30] ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. თბილისი 2012.გვ 277-281.

მასზე შანტაჟით (სახელის გამტეხი ინფორმაციის გავრცელების მუქარით). იქგივე ვრცელდება სხვა ფორმებზეც.[31]

გადაყვანა გამოიხატება მსხვერპლის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაყვანაში, იქნება ეს ტრანსპორტირების თუ სხვა სახით, თუნდაც უბრალოდ თანხლება. ამსრულებელისთვის დანაშაულის ჩასადენად საკმარისია მხოლოდ ტრანსპორტის შოვნაც ან მაგალითად, ბილეთის შეძენა.

ტრანსპორტირება გამოიხატება უშუალოდ დამნაშავის მიერ მსხვერპლის გადაყვანა(მძღოლის როლში). როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. როგორც აღინიშნა, ქმედების ამსრულებელია ის, ვინც მართავს ნებისმიერი სახის ტრანსპორტს და „გაცნობიერებული“ აქვს, რომ ახდენს ადამინით ვაჭრობის მსხვერპლის გადაადგილებას, განსხვავებით გადაყვანისაგან, სადაც ამ ქმედების ამსრულებელი შეიძლება თან არ ახლდეს მსხვერპლს. რაც შეეხება გადაცემას, გადაცემა თითქოს კოლიზიაშია გაყიდვასთან, მაგრამ აქ იგულისხმება ტრეფიკინგის მსხვერპლის თუნდაც დროებით გადაცემას მეორე პირისთვის გადამალვის მიზნით. გადაცემისთვის საკმარისია მხოლოდ პირადი მონაცემების, დოკუმენტების გადაცემა სხვა პირისთვის და ამ გზით ახალი კონტროლის დაფუძნება, აქ არაა აუცილებელი მაინცდამაინც ფიზიკურად გადაცემა.[32]

დაქირავებისას შეიძლება ორ ან სამსუბიექტიანი კაზუსები წარმოიშვას. ორსუბიექტიანია, როცა უშაულოდ მსხვერპლი იღებს ქირას და სამსუბიექტიანი, როდესაც სარგებელს იღებს არა მეორე, არამედ მესამე პირი, გამქირავებელი. განსახილველ შემთხვევაში იგულისხმება პირის არა კანონიერი დაქირავება (კონტრაქტის საფუძველზე), არამედ პირი ქირავდება მისი ექსპლუატაციისათვის, როგორც ნივთი და საზღაური გადაეცემა არა დაქირავებულს, არამედ მესამე პირს. მესამე პირი შეიძლება იყოს მისი ახლო ნათესავი(მაგალითად მეუღლე), ასევე

[31] მარინა მესხი. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სამართლებრივი ასპექტები, მასთან ბრძოლის მეთოდები, გამოცდილება და პერსპექტივათა ხედვა. ქვეთავი 3.1.1

[32] ბაჩანა ჯიშკარიანი. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ.გვ 200.

მესხვერპლის „მესაკუთრე“, რომელსაც მსხვერპლი ნაყიდი ჰყას, როგორც მონა ან ნივთი.

შეფარების დროს მსხვერპლს მიეცემა დროებით გასაჩერებელი ადგილი, იქნება ეს სასტუმრო, სახლი თუ სხვა. აქ არ იგულისხმება, რა თქმა უნდა, მსხვერპლისთვის თავშესაფრის მიცემა, რომ მან თავი დააღწიოს ექსპლუატაციას. შეფარებისას იგივე ხერხებს გამოიყენებენ, რაც სხვა დროს. მაგალითად, მსხვერპლის მოტყუება ან უმწეობა. რადგან ამ შეთხვევაში, შეფარება არ გულისხმობს კეთილი ზრახვებით ვინმესთვის დახმარების გაწევას.

მიღება, განსხვავებით თავშესაფრის მიცემისაგან, წარმოადგენს მსხვერპლის მიღებას არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით. მაგალითად, ბინის მიცემა. ქართულ კოდექსში ისეა ჩამოყალიბებული, რომ მიღების ამსრულებელში ის პირიც შეიძლება მოვიაზროთ, ვინც ახორციელებდა ექპლუატაციას. რა თქმა უნდა, მიღების დროსაც დამნაშავე მოტყუებას, შანტაჟს და სხვა ხერხებს მიმართავს და ეს არ ეწინააღმდეგება ნორმის შინაარსს, ვინაიდან აქ იგულისხმება თუნდაც დიდი ხნით თავშესაფრის მიცემა და არა მაინცდამაინც მხოლოდ მსხვერპლის თავისთან დატოვება (რომელიც სხვამ უკვე მოატყუა და დააშანტაჟა).

გადამალვა - გულისხმობს მსხვერპლის იზოლირებას ისეთ ადგილას, სადაც გამორიცხავს მის კონტაქტს გარესამყაროსთან, გამორიცხავს მის თავისუფალ კონტაქტს აღნიშნული ტერიტორიის გარეთ, სხვა პირებთან კონტაქტს და ა.შ. გადამალვა თავის თავში მოიცავს თავისუფლების უკანონო აღკვეთას და დამატებით კვალიფიკაცია საჭირო აღარაა 143-ე მუხლით. შეიძლება მსხვერპლი მოტყუებით აღმოჩნდეს იზოლირებული, მაგრამ ეს არ ცვლის დანაშაულის შემადგენლობას. [33]

ნორმაში კანონმდებელი საუბრობს ასევე სხვა უკანონო გარიგების განხორციელებაზე ადამიანის მიმართ, რომლის შინაარსი შეიძლება ფართოდ განიმარტოს და ასევე ემთხვევა 143^1-ე მუხლის პირველ ნაწილში არსებულ ჩამონათვალს. სხვა უკანონო გარიგება შეიძლება გავიგოთ, როგორც სარეზერვო,

[33] ბაჩანა ჯიშკარიანი. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. გვ. 201-202

შემავსებელი ფუნქციის მატარებელი, რადგან შეძლებისდაგვარად ფართოდ იყოს ტრეფიკინგთან ბრძოლა სისხლისამართლებრივად შესაძლებელი. მაგალითად, პირის, მსხვერპლის გადაცვლა რაიმე ნივთში, პირდაპირ ყიდვა-გაყიდვას არ გულისხმობს, მაგრამ, რა თქმა უნდა უკანონო გარიგებაა.[34]

დანაშაულის ჩადენის ხერხებს რაც შეეხება, ამ ქმედებათა უმრავლესობა ხორციელდება: ძალადობით (იგულისხმება წამება, ჯანმრთელობის მსუბუქად ან ნაკლებად მძიმე დაზიანება და სხვა), იძულებით (მაგალითად, დამცირება სისტემატიურად, აბუჩად აგდება, რათა მსხვერპლი იძულებული გახდეს დაემორჩილოს დამნაშავეს და სხვა), მუქარა, მოტაცება, შანტაჟი (პრადი ინფორმაციის გავრცელების მუქრა, სახელი გამტეხი ინფორმაციის გავრცელების მუქარა), მოტყუება, უმწეო მდგომარეობის გამოყენება (ამ შემთვევაში უმწეო მდგომარეობაში მყოფი არის ამ დანაშაულის ამსრულებელი და არა მსხვერპლი, აქ გულისხმობენ მხოლოდ ფიზიკურ უმწეობას, როცა პირი იყენებს თავის უმწეობას, რომ დაარწმუნოს მისი ახლობელი ექსპლუატაციაში ჩაბმის აუცილებლობაში), ძალაუფლების ბოროტად გამოყენება(იგულისხმება კრიმინალური ძალაუფლების გამოყენება ადამიანით ვაჭრობისათვის), საზღაურის ან სარგებლის მიცემა იმ პირზე, ვისაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, საზღაურის ან სარგებლის მიღება იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. ნათლად ჩანს რომ ბოლო ორ შემთხვევაში დანაშაულის ხერხია მოსყიდვა. მაგრამ არ ხდება თავად მსხვერპლის მოსყიდვა, არამდე იმ პირების მოსყიდვა, ვისაც მსხვერპლზე ზეაგვლენის მოხდენა სხვადასხვა ხერხით შეუძლია.[35]

ჩამოთვლილი ხერხების გამოყენება არ არის დამახასიათებელი ადამიანის ყიდვა-გაყიდვისა და მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებისთვის. სხვა ქმედების განხორციელებისას, მაგალითად გადაყვანისას, გადამალვისას და სხვა, აუცილებელია ერთ-ერთი ზემოთ აღნიშნული ხერხის გამოყენება.

---

[34] იხ: იქვე - გვ. 202-204

[35] ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. თბილისი 2012. პარაგრაფი 3.გვ 255.

სახეზე გვაქვს ერთიანი დანაშაულის ალტერნატიული ქმედებები. დანაშაულის დამთავრებულად ცნობისთვის საკმარისია ერთ-ერთი მათგანის ჩადენა, მაგალითად ყიდვის. ამასთან, როდესაც სახეზე გვაქვს შესაბამისი ხერხით განხორციელებული ერთი ან რამდენიმე ქმედება, რომელიც ერთიანი განზრახვით არის ჩადენილი, ქმედება დაკვალიფიცირდება არა დანაშაულის ერთობლიობით, არამედ როგორც ერთი დანაშაული (სსკ-ის 143^1-ე მუხლის შესაბამისად). მაგალითისთვის, „ა"-მ თანხის სანაცვლოდ იყიდა „ბ"-სგან მსხვერპლი, შემდეგ გადაიბირა და გადაიყვანა იგი მუქარით და მიჰყიდა „გ"-ს, ექსპლუატატორს. ასეთ შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება 143^1-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით.[36]

ადამიანის ყიდვა-გაყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს იმ ადამიანისთვის თანხის გადახდით, ვისაც ფაქტობრივად შეუძლია მსხვერპლის მყიდველისათვის გადაცემა. ასეთი ადამიანები კი შეიძლება იყვნენ გაყიდულის მეუღლე, მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი, რომელმაც მოტყუებით ან ძალადობით მიუყვანა მსხვერპლი მყიდველს. ადამიანის ყიდვა ასევე შესაძლებელია მისი სხვა ნივთში გადაცვლით, ვალში ჩათვლით და სხვა. იგივე ითქმის ადამიანის გაყიდვაზე, რადგან ყიდვდა და გაყიდვა ერთმანეთს განაპირობებს. ისინი ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ.[37]

მაგალითისთვის:

ბიჭს ძალიან უყვარს გოგონა და მისი ცოლად მოყვანა უნდა. გოგოს მამა წინააღმდეგია და არც გოგოს უნდა დაოჯახება. ბიჭმა გოგოს მამას გადაუხადა თანხა, ან გაათავისუფლა ვალის გადახდისგან, რომელიც მართებდა და მისი დახმარებით გოგონა შეირთო ცოლად. აღნიშნულ მაგალითში, ბიჭმა ფაქტობრივად იყიდა ცოლი, მამამ კი შვილი გაყიდა. აქ ექსპლუატაციის მიზანი, რომელსაც კანონმდებელი 143^1-ე მუხლში გულისხმობს, არ ჩანს პირდაპირ, თუმცა ასეთი შემთხვევები მაინც შეიცავს

[36] იხ; მუხლი 143^1.

[37] ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. თბილისი 2012. გვ 284.

ტრეფიკინგის ნიშნებს და მისი შემადგენლობით უნდა იყოს მოცული, რადგან ადამიანი გარიგების საგანი გახდა, როგორც ნივთი.[38]

ტრეფიკინგის (სსკ 143^1-ე მუხლი) სუბიექტური შემადგენლობა უნდა განხორციელდეს განზრახ, სადაც ექსპლუატაციის მიზანი უნდა შემოწმდეს აუცილებლად. რა თქმა უნდა, პირდაპირ განზრახვა არ არის აუცილებელი, საკმარისია, რომ დამნაშავე შინაგანად ეგუებოდეს, აცნობიერებდეს, რომ მის მიერ გადაყვანილი ან შეფარებული პირი შესაძლებელია ტრეფიკინგის მსხვერპლი აღმოჩნდეს. პირდპირი განზრახვის მოთხოვნის დროს, რთული იქნებოდა პრაქტიკაში იმის მტკიცება, რომ დამნაშავემ, ამ შემთხვევაში გადამყვანმა, ან შემფარებელმა იცოდა რომ შეფარებული ან გადაყვანილი ტრეფიკინგის მსხვერპლი იქნებოდა და საბოლოოდ მისი გათავისუფლება მოგვიწევდა. იგივე არ ითქმება მაგალითად, ადამიანის, მსხვერპლის შემძენზე. აქ პირდაპირი განზრახვა აუცილებელია, რადგან შემძენი ექსპლუატაციის მიზნით ხელმძღვანელობს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ განზრახვასთან მიმართებით უნდა მოხდეს დეფინიცირება დანაშაულის ჩადენის ფორმის მიხედვით. ნაწილობრივ აუცულებელია პირდაპირი განზრახვა, ზოგჯერ კი არაპირდაპირი განზრახვაც აუცილებელია.[39]

მაგალითისთვის: „ა“-ს პერიოდულად გადაყავდა თავისი მიკროავტობუსით ახალგაზრდა ჩინელი გოგონები საქართველოს სხვადასხვა კურორტზე. შესრულებული სამსხურისთვის მას კარგი ანაზღაურება ჰქონდა „ბ“-სგან, რომელიც მას დანიშნულების ადგილას ხვდებოდა ხოლმე. „ა“-ს ზუსტი ინფორმაცია არ ჰქონდა, თუ რა მიზანს ემსახურებოდა ეს ტრანსპორტირება, თუმცა ჰქონდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ „ბ“ ჩინელ ქალბატონებს სექსუალურ ექსპლუატაციას უწევდა და მათ კლიენტებზე აქირავებდა. „ა“ ფიქრობდა, რომ ეს ფაქტი მართალიც რომ იყოს, მე ოჯახი მყავს სარჩენი, სხვა რაში მაინტერესებსო. როგორც მაგალითიდან ჩანს „ა“ მოქმედებდა არაპირდაპირი განზრახვით, მაგრამ ამის მიუხედავად ეს საკმარისია სსკ-ის 143^1მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დასჯადობისთვის. მას გადაყვანის

[38] ბაჩანა ჯიშკარიანი. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. გვ 202.
[39] ჯემალ ჯანაშია. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო და შიდა ეროვნული სამართლებრივი მექანიზმები და რეგულაციები. გვ68-70.

განზრახვა ჰქონდა, ასევე განზრახვა ჰქონდა გადაყვანასთან დაკავშირებული მიზნების მიმართ. ასეთ შემთხვევაში დეტალების ცოდნა აუცილებელი არ არის.[40]

რაც შეეხება პიპრდაპირ განზრახვას. პირდაპირი განზრახვის არსებობა აუცილებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა, მაგალითად, დამნაშავე მსხვერპლს მიიღებს, რათა თვითონვე განახორციელოს ექსპლუატაცია.

ექსპლუატაცია ტრეფიკინგისთვის გადამწყვეტი ფაქტორია, რომლის განმარტება 143^1მუხლის შენიშვნაშია მოცემული, სადაც იგულისხმება შრომის ან მომსახურების გაწევის იძულება, სექსუალური მომსახურების გაწევის იძულება, პირის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმა, ადამინის მონობის მსგავს მდგომარეობაში ჩაყენება და სხვა.[41]

სექსუალურ ექსპლუატაციაში იგულისხმება ისეთი ქმედება, როდესაც მსხვერპლი ეწევა სექსუალურ მომსახურეობას და შემოსავლის დიდი ნაწილი მესამე პირთან, დამნაშავესთან რჩება ან როცა მას აიძულებენ მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშ სექსუალურ მომსახურებას. ასეთ დროს სრულიად უგულებელყოფილია მსხვერპლის ინტერესები. მთავარია ამ დროს ექსპლუატატორმა ნახოს შემოსავალი. სექსუალური ექსპლუატაციის დროს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს აძლევენ თუ არა მსხვერპლს თანხის ნაწილს, რადგან სიტყვა ექპლუატაცია ყოველთვის ერთი მხარის ანუ დამნაშავის ინტერესების უპირატესობას გულისხმობს.[42]

შრომით ექსპლუატაციას რაც შეეხება, აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა პირს არსებული ან სავარაუდო ვალის გასასტუმრებლად მევალის საწარმოში აუტანელი პირობების გაძლება უწევს. ექსპლუატაცია შრომის და მომსახურების გაწევის იძულების ფორმით გვექნება ისეთ დროს, როცა მასიურად ხდება მსხვერპლის სასიცოცხლო ინტერესების უგულებელყოფა და მისთვის დიდი ხნის განმავლობაში გასამრჯელოს არ მიცემა, შრომისთვის აუტანელი პირობების შექმნა და სხვა. ჩვენი ქვეყნის, საქართველოს რეალობაში ხშირად სამსახურები დაბალანაზღაურებადია და

[40]მაგალითი მოყვანილია ბაჩანა ჯიშკარიანის წიგნიდან.გვ203.
[41] იხ; იქვე. მუხლი 143^1
[42] მარინა მესხი. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის ფორმები). 3.1.

შრომატევადი ან ხელფასები გვიანდება, თუმცა ეს, რა თქმა უნდა ავტომატურად არ ქმნის ტრეფიკინგის შემადგენლობას. შრომის ან მომსახურების გაწევის იძულებაზე აღნიშნული მუხლის შენიშვნაშია განმარტებული. მაგალითად, პირის, მსხვერპლის შრომის ჰონორალიც და პირობებიც არ არის საერთო ჯამში ცუდი, თუმცა მას ეს სამსახური საერთოდ არაფერში სჭირდება და მისი შრომა მხოლოდ დამსაქმებელს, ექსპლუატატორს აძლევს სარგებელს (მაგალითად, პირი, რომელიც პროფესიონალია თავისი საქმის).მონობის მსგავს მდგომარეობაში ჩაყენებაზე მოკლედ შეიძლება ითქვას. ზემოთ ჩამოთვლილი ექსპლუატაციის ფორმები, რომელიც აღმატებით ხარისხშია აყვანილი, სადაც მთლიანად იგნორირებულია მსხვერლი და გაიგივებულია ნივთთან.[43]

რაც შეეხებაქმედების მართლწინააღმდეგობასა და ბრალს, მართლწინააღმდეგობა იმაში გამოიხატება, რომ დაზარალებულის, მსხვერპლის თანხმობას მის ექპლუატაციასთან დაკავშირებით დასჯადობისთვის მნიშვნელობა არ აქვს, ბრალი კი სტანდარტულად მოწმდება.[44]

მაგალითისთვის, განვიხილოთ კაზუსი სასამართლო პრაქტიკიდან. უზბეკეთის მოქალაქე „ა“ 2012 წლიდან ცხოვრობდა ბათუმში და ეწეოდა პროსტიტუციას. ერთხელ მას სამშობლოში დაურეკა თავის ნაცნობ „ბ“-ს და მოტყუებით დაპირდა, რომ თურქეთში დაასაქმებდა მაღალანაზღაურებად სამსახურში. „ბ“ დათანხმდა და ბათუმში ჩავიდა. გზის ხარჯები „ა“-მ გაიღო და გოგონა ნაქირავებ ბინაში მიიყვანა, სადაც პასპორტი ჩამოართვა, შეუზღუდა თავისუფალი გადაადგილების უფლება, დაემუქრა და ამ ხერხით გადაიბირა, რომ ჩაბმულიყო პროსტიტუციაში, რაც გამოუვიდა კიდეც. გამომუშავებული თანხით მთლიანად „ა“ სარგებლობდა. ყოველივე ეს გრძელდებოდა რამდენიმე თვე. მოგვიანებით „ბ“-მ „ა“-ს დაემუქრა, რომ ამის შესახებ ყველაფერს პოლიციაში განაცხადებდა. „ა“-მ მისი თავიდან მოშორება გადაწყვიტა და თავის ნაცნობ „გ“-ს დაუკავშირდა და მას გადაუხადა 2000 აშშ დოლარი. „გ“-მ

[43] ბაჩანა ჯიშკარიანი. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. გვ 204-207.

[44] იხ; მუხ. 143^1, შენიშვნა, ნაწ.2

მსხვერპლი ბათუმიდან თბილისის მიმართულებით წაიყვანა, ვითომ აეროპორტში მიჰყავდა, გზაში კი ის ქვის თავში ჩარტყმით გამოასალმა სიცოცხლეს.[45]

თავიდან, პირველი ინსტანციის სასამართლომ „ა“ დამნაშავედ სცნო 143^1მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ადამიანით ვაჭრობა დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ანდა სხვაგვარად დამოკიდებულების მიმართ), 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით. ცოტა მოგვაინებით, უზენაესმა სასამართლომ კვალიფიკაცია დააზუსტა და ამოღებულ იქნა უმწეო მდგომარეობა, ვინაიდან საქმეში არ ჩანდა, რომ მიუხედავად ფსიქოლოგიური პრობლემებისა, მსხვერპლს ნამდვილად არ შეეძლო საფრთხის გაცნობიერება თავდაცვა. გარდა ამისა, თვითონ დამნაშავეც არ მიიჩნევდა, რომ „ბ“ იყო უმწეო მდგომარეობაში. რომ შერაცხულიყო უმწეო მდგომარეობად, აუცილებელია როგორც ობიექტურად მსხვერპლის უმწეობის ფაქტის არსებობა, ასევე დამნაშავის მხრიდან ამ ფაქტის ცოდნა და სათავისოდ გამოყენება, რაც სასამართლომ საქმეში ვერ დაინახა. განაჩენიდან, ასევე ამოიღეს ანგარების ნაწილი „გ“-სთან მიმართებით, ვინაიდან „გ“, კერძოდ მკვლელობის ამსრულებელი ამტკიცებდა, რომ ეს ფული მან „ა“-სგან არა სხვისი მოკვლისთვის, არამედ ვალის დაბრუნების სახით მიიღო. საპირისპირო მტკიცებულებები საქმეში ვერ აღმოაჩნეს.[46]

განვიხილოთსასამართლოპრაქტიკისერთ-ერთიმაგალითი.2005 წლის 24 იანვარს თბილისის სამოქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ განიხილა თბილისის პროკურატურის შუამდგომლობა სისხლის სამართლის საქმეზე არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის თაობაზე 1. მ მნაცაკანიანის მიმართ დანაშაულისთვის, რომელიც გათვალისწინებულია სსსკ 143^1 მუხლის პირველი ნაწილით, მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით და მე-2-მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტით; 2. ა. ოგანესიანის მიმართ დანაშაულისთვის, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ 143^1მუხლის პირველი პუნქტით; 3. მ. ოგანესიანის მიმართ

[45] მაგალითი მოყვანილია ბაჩანა ჯიშკარიანის წიგნიდან.
[46] იხ: იქვე - გვ 208

დანაშაულისათვის, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ 143^1 მუხლის პირველი ნაწილით, მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი და მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტით. ზემოაღნიშნულ პირებს ბრალი დაედოთ ადამიანით ვაჭრობაში (ტრეფიკინგში), ე.ი. ადამიანის ყიდვა-გაყიდვაში, მის მიმართ სხვა იკანონო გარიგების განხორციელებაში, აგრეთვე იძულებაში, შანტაჟით ან მოტყუებით ადამიანის გადაბირებაში, გადაყვანაში, გადამალვაში ანდა მიღებაში ექსპლუატაციის მიზნით, როდესაც დანაშაული ჩადენილია ორი ან მეტი პირის მიმართ ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ანუ დანაშაული გათვალისწინებული სსს კოდექსის 143^1 მუხლის პირველი ნაწილით, მე-2 ნაწილის „გ“პუნქტით და მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტით.მ. ოგანესიანი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის143^1 მუხლის პირველი ნაწილით, მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით; აგრეთვე, ჩადენილი დანაშაულისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენებით და მიესაჯა 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა. სსსკ 63-ე მუხლის თანახმად, მ. ოგანესიანისათვის დანიშნული სასჯელი, პირობით არ იქნა და დამნაშავეს სისხლის სამართლის 64-ე მუხლის საფუძველზე გამოსაცდელ ვადად დაენიშნა 5 წელი. მის ყოფაქცევაზე კონტროლი დაევალა პრობაციის ბიუროს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. იგივე სასჯელი მიესაჯა მ. მნაცკანიანსა და ა. ოგანესიანს. ა.ოგანესიანის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება - დაპატიმრება - გაუქმდა და ბრალდებული განთავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან, ხოლო მ. ოგანესიანის და მ.მნაცაკანიანის მიმართ შეფარდებული აღმკვეთი ღონისძიება - შინაპატიმრობა - გაუქმდა.[47]

3.2. არასრულწლოვნითვაჭრობა

როგორც ზემოთ ვახსენეთ, ტრეფიკინგიმთელი მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. ბავშვთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა XX საუკუნის პირველი ნახევრიდან მსოფლიო თანამეგობრობის ზრუნვის საგნად იქცა.

[47] გივი ლობჟანიძე. ტრეფიკინგის სამართლებრივი ასპექტები. გვ117.

კერძოდ, ჟენევაში მიიღეს დეკლარაცია 1924 წელს ბავშვის უფლებების შესახებ, 1995 წელს- პეკინის მოქმედებათა პლატფორმა, 1959 წელს გაეროს დეკლარაცია ასევე ბავშვის უფლებების შესახებ, სტოკჰოლმის გეგმის სახელით ცნობილი, 1996 წლის ბავშვთა კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის ღონისძიებათა გეგმა.[48] დღესდღეობით 180 ქვეყანას აქვს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ საბრძოლველად, თუმცა მათ შორის ბევრი განსხვავებებია, როგორც დასაკისრებელ პასუხისმგებლობებს ასევე თვითონ ვაჭრობის ცნების გაგებასთან. ეს ფაქტი ალბათ ბუნებრივიცაა, რადგან ქვეყნები მხოლოდ დასახელებებით არ განხვავდებიან, ყველა ქვეყანას თავისი კულტურა და წარსული გააჩნია, რომელიც გავლენას ახდენს ამ ყოველივეზე. ჩვენი ქვეყნის მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ არ ყოფილა რაიმე განსაზღვრული ტერმინი ამ კუთხით, მაგრამ ბავშვების მოტაცება და ბაზარზე გაყიდვა ერთ-ერთი საქმიანობა იყო ჩვენი წინაპრებისთვის. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ ძველ ქართულ სამართალში არსებობდა ადამიანის გაყიდვის ამკრძალავი ნორმები. მაგალითად: რომის სახელმწიფოში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე II-I საუკუნეებიდან ჩვ.წ.აღ 235 წლამდე, აბსოლიტური იყო მხოლოდ მამის ძალაუფლება შვილებზე, მას შეეძლო განეკარგა ბავშვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. ასევე, სასტიკი კანონი იყო ძველი ბაბილონის კანონმდებლობაში, რომელიც ითვალისწინებდა ძალიან მკაცრ სასჯელს „ურჩი შვილებისთვის“ - ხელის მტევნის ან ენის მოჭრა, თუ ბავშვი მამას ხელს გაარტყავდა ან ეტყოდა, რომ ის მისი მამა არ არის. თუმცა, უძველესი დროიდანვე დაიწყო გარკვეული კატეგორიის ბავშვების განსაკუთრებული მოწყვლადობის გაცნობიერება და ბავშვებზე ძალადობის მიმართ შეუწყნარებლობის სახელმწიფო პოზიციის ჩამოყალიბება. რომის იმპერიის შექმნის პერიოდში, შეიცვალა ზემოხსენებული კანონი და მამას წაერთვა შვილის სიცოცხლის და სიკვდილის უფლება.[49]

---

[48] ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალ შეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. გვ. 386.

[49]საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი - ფსიქოლოგი ეკატერინე (ქეთევან) თავართქილაძე.

ადამიანთა ვაჭრობა, მოიცავს ბავშვთა ექსპლოატაციასაც, რომელიც სხვადასხვა მიზნით ხორციელდება. ბავშვთა ტრეფიკინგი შეიძლება ხორციელდებოდეს სექსუალური ან შრომითი მიზნებისთვის. XXI-ე საუკუნეში ადამიანის, მით უმეტეს, ბავშვის მიმართ ასეთი დამოკიდებულება არათუ დაუშვებელია, არამედ წარმოუდგენელიც კია, მაგრამ ფაქტია, რომ ბავშვთა ტრეფიკინგი თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა და აქტუალური საკითხია. ბავშვთა ტრეფიკინგი, გავრცელების მასშტაბებით, საშიშროების ხარისხითა და არალეგალური სახსრების ოდენობით, ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობის შემდეგ, მესამე ადგილს იკავებს. ბავშვები უფრო ადვილად ებმებიან ტრეფიკიორთა მახეში და უფრო მოწყვლადნი არიან, ვიდრე ზრდასრულები. ტრეფიკინგის მსხვერპლი ძირითადად ის ბავშვები არიან, რომებიც მოკლებულნი არიან მზრუნველობას. თუმცა არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მშობლები თვითონ ყიდიან შვილებს, ან აიძულებენ შრომას, მათხოვრობას.[50]

სისხლისსამართლებრივი კანონის დაცვის ობიექტი, ამ დანაშაულისგან არის არასრულწლოვნის პირადი უფლება და თავისუფლება. კერძოდ, აქ მოიაზრება მისი პიროვნების ხელშეუვალობა, მისი უფლება, იზრდებოდეს მშობლებთან, პატივი და ღირსება, რაც განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო კონვენციებით, ასევე ბავშვის უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმი, რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2002 წლის 27 სექტემბერს. ბავშვის უფლებების კონვენციაში აღიარებულია, რომ ბავშვის უფლებაა, იყოს დაცული ეკონომიკური ექსპლუატაციისაგან და ნებისმიერი იმ სამუშაოს შესრულებისაგან, რომელიც დაბრკოლებას შეუქმნის განათლების მიღებაში, ან საფრთხეს უქმნიდეს თვითონ ბავშვს და მის ჯანმრთელობას, ან აზიანებდეს ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ თუ ზნეობრივ განვითარებას. სისხლისსამართლებრივი დაცვის ფაკულტატური ობიექტია არასრულწლოვნის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. [51]

---

[50] მარინა მესხი. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სამართლებრივი ასპექტები, მასთან ბრძოლის მეთოდები, გამოცდილება და პერსპექტივათა ხედვა. ქვეთავი 3.2.1.

[51] მზია ლეკვეიშვილი. ნონა თოდუა. გოჩა მამულაშვილი. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი I. გამომცემლობა მერიდიანი.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დანაშაულის მსხვერლი ზრდასრულები და ზოგადად სრულწლოვნებიც ხდებიან, უფრო მეტად ხშირია არასრულწლოვან ბავშვთა ტრეფიკინგი. ეს გამომდინარეობს რიგი მიზეზებიდან, მაგალითად ბავშვის გადარწმუნება და მოტყუება ბევრად მარტივია, რადგან მას აქვს ნაკლები ცხოვრებისეული გამოცდილება, უფრო მარტივად ენდობიან ადამიანებს და სჯერათ მათი ნათქვამი, რაც ასევე მათ გულუბრყვილობაზე მიგვანიშნებს და ეს ბუნებრივიცაა. აქედან გამომდინარე ბავშვი უფრო მეტად დაუცველია ვიდრე სრულწლოვანი, რადგან მას არ შესწევს არც ფიზიკური და არც გონებრივი შესაძლებლობა, რომ გაუმკლავდეს მოძალადეს. ერთ-ერთ ყველაზე დიდ რისკჯგუფს შეადგენს ის ბავშვები, რომლებიც გამოექცნენ ოჯახურ ძალადობას. ასეთი ტიპის ბავშვები არიან დაბნეულები, მარტოსულები და ეძებენ თავშესაფარს, საჭმელს, სითბოს. შესაბამისად მათი შემჩნევა არც თუ ისე რთულია, ამიტომ როცა სთავაზობენ სამუშაოს მცირე ანაზღაურების, საჭმლისა და საცხოვრებლის სანაცვლოდ ბავშვები მარტივად ტყუვდებიან. მაშასადამე, არასრულწლოვნების ექსპლუატაცია ბევრად მსუბუქი საქმეა და ალბათ სწორედ ამიტომ არის მეტი წილი მსხვერპლთა რაოდენობა ბავშვებისა.[52]

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დანაშაულის მსხვერპლია არასრულწლოვანი ანუ 18 წელს მიუღწეველი პირი. სსკ 143 -ე მუხლის 1-ლი ნაწილით დაზარალებულად არ ჩაითვლება ის არასწრულწლოვანი, რომელსაც თავისი მცირეწლოვნების გამო არ შესწევს უნარი გააცნობიეროს, თუ რა ქმედებას სჩადიან მის მიმართ. თუ ასეთ უმწეო მდგომარეობაშიიმყოფება არასრულწლოვანი, ვაჭრობის ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით. ობიექტური კუთხით, განსახილველი დანაშაული ემსგავსება სსკ 143-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ქმედებას, თუმცა განსხვავება ისაა, რომ არასრულწლოვნით ვაჭრობისას სავალდებულო არაა დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული იყოს იძულება, შანტაჟი ან მოტყუება ანდა ამ მუხლის 1ნაწილში მითითებული სხვა ხერხი. [53]არასრულწლოვნის ფსიქიკა ჯერ კიდევ მოუმწიფებელი და ჩამოუყალიბებელია, ამიტომ აქ მისი

[52] ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალ შეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. გვ 387.
[53]იხ: სისხლის სამართლის კოდექსის 143^1 - მუხლი

გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა თუ სხვა ქმედება შეიძლება მოხდეს არასრულწლოვნის შეგონებითა და დარწმუნებით. გარდა ამისა, არასრულწლოვნის ჩართვა ექსპლუატაციაში უფრო სავალალო შედეგებს იწვევს ვიდრე სხვა შემთხვევაში, ამიტომ არასრულწლოვნით ვაჭრობის ობიექტური მხარე რამდენადმე განსხვავდება ადამიანით ვაჭრობის ობიექტური მხარისგან, შესაბამისად კანონმდებლის მიერ შექმნილია ცალკე ნორმა არასრულწლოვნით ვაჭრობისათვის და არ ითვალისწინებს იგი 143^1-ე მუხლის მაკვალიფიცირებელ გარემოებას.[54]

მაშინ, როცა არასრულწლოვნით ვაჭრობის ხერხად გამოყენებული არის იძულება, შანტაჟი, ან მოტყუება, ქმედება კვალიფიცირდება სსკ 143^2-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის შესაბამისი პუნქტით და არა 1-ლი ნაწილით. მაგალითად, თუ ვაჭრობა განხორციელდა ოთხი წლის ბავშვზე, რომელსაც თავისი ასაკიდან გამომდინარე არ შეუძლია შეიგნოს მის მიმართ განხორციელებული ქმედების შინაარსი, ამ შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 143^2-ე მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტით, რომელიც გულისხმობს - დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ. არასწრულწლოვნით ვაჭრობის ობიექტური ვაჭრობის დანარჩენი ნიშნები სსკ 143^1-ე მუხლის მიხედვით უნდა გავიგოთ.[55]

აქვე აღსანიშნავია, რომ ამ ხსენებული მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება შეიძლება, რომ განახორციელოს ერთმა პირმა ან ჯგუფმა. ჯგუფიდან ექსპლუატაციის მიზანი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთ წევრს, მაგალითად ხელმძღვანელს, მაგრამ ჯგუფის წევრის როლის მიუხედავად თუ მას აქვს გაცნობიერებული, რომ ქმედება ემსახურება მათი უფროსის ამ მიზანს, დანაშაული განიხილება ზემოხსენებული მუხლით. აღსანიშნავი და მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 2006 წელს საკანონმდებლო სიახლეებით ცვლილება განიცადა არასრულწლოვნით ვაჭრობის ობიექტურმა მხარემ და ქმედებას დაემატა დაქირავება, გადაცემა, შეფარება და ტრანსპორტირება. 143^1მუხლით გათვალისწინებული ქმედებები, რომლებიც შესაძლოა განხორციელდეს ადამიანის მიმართ არის: ყიდვა; გაყიდვა; სხვა უკნონო

[54]იხ: სისხლის სამართლის კოდექსის 143^1- 143 მუხლი.

[55] მზია ლეკვეიშვილი. ნონა თოდუა. გოჩა მამულაშვილი. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი I. გამომცემლობა მერიდიანი. გვ.273

გარიგების განხორციელება; გადაბირება; გადაყვანა; გადამალვა; ტრანსპორტირება; გადაცემა; შეფარება; მიღება ექსპლუატაციის მიზნით. ხოლო ამ ქმედებების განხორციელებისათვის შეიძლება გამოყენებული იქნას ხერხები: მუქარა; ძალადობა; მოტაცება; შანტაჟი; იძულების სხვა ფორმები; თაღლითობა; მოტყუება; უმწეო მდგომარეობის გამოყენება; ძალაუფლების ბოროტად გამოყენება; საზღაურის ან სარგებლის მიცემა პირზე, ვისაც სხვა პირზე ანუ პოტენციურ მსხვერპლზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია და საზღაურის ან სარგებლის მიღება იმ პირის თანხმობის მისაღებად, რომელსაც სხვა პირზე ანუ პოტენციურ მსხვერპლზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია.[56]

ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა შესაძლოა მოხდეს ფულის გადახდით, ნივთში გაცვლით ან ვალში ჩათვლით, რის შედეგადაც უკვე ადამიანი გადადის მყიდველის საკუთრებაში. ამ შემთხვევაში სისხლის სამართლებრივი პასუხისგმებლობა ეკისრება როგორც მყიდველს ასევე გამყიდველს. ყიდვა-გაყიდვა შესაძლოა მოხდეს მსხვერპლთან შეთანხმებითაც, თუმცა ქმედება ამ შემთხვევაშიც მართლსაწინააღმდეგოა. ადამიანის ყიდვა-გაყიდვა უკვე დანაშაულია და ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა მიზანი იყო თუ არა ექსპლუატაცია და განხორციელდა თუ არა იძულების რაიმე ხერხები. ასევეა „სხვა უკანონო გარიგების“ ქმედებაზეც, რადგან ის თავისთავად უკვე უკანონოა და არღვევს კანონით დადგენილ წესს.[57]

სუბიექტური მხრივ, დანაშაულის მოტივს მნიშვნელობა არა აქვს. ხოლო მიზანი მთელ რიგ შემთხვევებში უნდა იყოს სპეციალური ანუ ექსპლუატაციის მიზანი. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს შემდეგნაირად - როდესაც პირი სხვა პირის შეკვეთით ყიდულობს მცირეწლოვანს შემკვეთზე გადასაცემად, ამ შემთხვევაში თვითონ მყიდველს ვინც ბავშვი იყიდა არ ამოძრავებს ექსპლუატაციის მიზანი და

---

[56] მზია ლეკვეიშვილი. ნონა თოდუა. გოჩა მამულაშვილი. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი I. გამომცემლობა მერიდიანი. გვ-274

[57] იხ.: თოდუა, ნ. (2012) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სისხლისსამართლებრივი დახასიათება და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სამართალში. ავტ. კრებული. გვ 288

შესაძლოა არც ის იცოდეს, რომ ეს მიზანი აქვს მას ვისაც უნდა მიჰყიდოს არასრულწლოვანი. ამ შემთვევაშიც კი როცა მყიდველს არ ამოძრავებს ბავშვის ექსპლუატაციის მიზანი, ქმედება მაინც უნდა დაკვალიფცირდეს სსკ 143^2-ე მუხლით. ამასთანავე, არასრულწლოვნის გამყიდველს საერთოდ არ ამოძრავებს ექსპლუატაციის მიზანი, მაგრამ მიუხედავად ამისა, როცა ადგილი აქვს არასრულწლოვნის ყიდვას ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგებას, ქმედება დაკვალიფიცირდება 175-ე მუხლით. არასრულწლოვნით ვაჭრობა არის პირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაული, რადგან პირს გაცნობიერებული აქვს, რომ ვაჭრობას ახორციელებს არასრულწლოვნის მიმართ.[58]

განივიხილოთ რა ხდება უმწეო მდგომარეობაში მყოფი არასრულწლოვნის დროს და აქ მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ, რომ უმწეო მდგომარეობა გულისხმობს როგორც ასაკით ასევე გონებრივი შესაძლებლობებით (სულით ავადმყოფობა, გონებრივი სისუსტე) გამოწვეულ უმწეობას. ამგვარ მდგომარეობაში მყოფი არის ის ბავშვი, რომლის მიმართაც განხორციელებული ქმედების დროს მას არ ჰქონდა შესაძლებლობა წინააღმდეგობა გაეწია ვინმესთვის ან გაეცნობიერებინა თუ რა ხდებოდა და რა ქმედებას ახორციელებდნენ მის მიმართ. ამ შემთხვევაში 143^2-ე მუხლის 2-ე ნაწილის „ბ“ პუნქტით დამამძიმებელი გარემოებაა დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად, ანდა სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ ჩადენილი ქმედება.დამნაშავეზე მატერიალურადაა დამოკიდებული არასრულწლოვანი, მაშინ როცა იმყოფება დამნაშავის კმაყოფაზე, მკურნალობისა თუ სწავლის ხარჯებს ის უხდის, რომელიც შემდგომში ყიდის მას ან ყიდულობს, როგორც რაიმე ნივთს ან მის მიმართ ახორციელებს სსკ 143^2-ე მუხლში აღნიშნულ სხვა ქმედებას ექსპლუატაციის მიზნით. ზემოხსენებულ სხვაგვარად დამოკიდებულებაში იგულისხმება, მშვილებლისა და ნაშვილების, თუნდაც ღვიძლი მშობლის და შვილის, ცოლისა და ქმრის, მზრუნველისა და მის მზრუნველობაში მყოფის დამოკიდებულება და სხვა. სხვაგვარ დამოკიდებულებაში არ ჩაითვლება ბავშვთა სახლის, ან სამედიცინო დაწესებულების

[58] გ. მამულაშვილი, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები და ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012, გვ 392-403.

ან მასწავლებლისა და არასრულწლოვნის დამოკიდებულება. თუ ეს ადამიანები ჩაიდენენ არასრულწლოვნით ვაჭრობას, მათი ქმედება დაკვალიფიცირებული იქნება სსკ 143^2-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით, რაც გულისხმობს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებას. ამავე მუხლის მე-4 ნაწილით განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად არის მიჩნეული ამ მუხლის 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია არასულწლოვნის სიცოცხლის მოსპობა ან რაიმე სხვა სხვა მძიმე შედეგი. [59]ამ დროს დამნაშავე ისჯება ჩვიდმეტიდან ოც წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით.[60] ამ მკაცრი სასჯელიდან გამომდინარე იმიჯნება ერთმანეთისგან განზრახ და გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა და ამ ორ შემთხვევაში სასჯელიც შესაბამისად განსხვავებულია.[61]

ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით - არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის კვალიფიკაციისათვის საკმარისია არსებობდეს ექსპლუატაციის მიზანი და მოქმედება, ხოლო დანაშაულის ჩადენის ხერხებს მაკვალიფიცირებელი მნშვნელობა არ უნდა მიენიჭოს. ამ მოსაზრებას ასევე ამყარებს ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმიც.[62] ამ ოქმის მე-2 მუხლის მიხედვით, ნებისმიერი ქმედება ან გარიგება, რომლის შედეგადაც ხდება ბავშვის გადაცემა სხვა პირისათვის ან პირთა ჯგუფისათვის ანაზღაურების სანაცვლოდ, ბავშვებით ვაჭრობად უნდა ჩაითვალოს. ამავე ოქმის მე-3 მუხლი აკონკრეტებს, რომ ბავშვებით ვაჭრობად ჩაითვლება ნებისმიერი საშუალებით ბავშვის შეთავაზება, გადაცემა ან მიღება ბავშვის სექსუალური ექსპლუატაციის, მისი ორგანოების ანაზღაურების გარეშე მიღების, ბავშვის იძულებით სამუშაოზე გამოყენების მიზნით.[63]

---

[59]იხ: სისხლის სამართლის კოდექსის 143^2- მუხლი

[60]იხ: სისხლის სამართლის კოდექსის143^2- მუხლი

[61] მზია ლეკვეიშვილი. ნონა თოდუა. გოჩა მამულაშვილი. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი I. გამომცემლობა მერიდიანი. გვ-276

[62] იხ: ბავშვის უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 27 სექტემბრის 1675 დადგენილებით

[63] მარინა მესხი - „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სამართლებრივი ასპექტები, მასთან ბრძოლის მეთოდები, გამოცდილება და პერსპექტივათა ხედვა“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, ტრეფიკინგის რისკ-ჯგუფს პირველ რიგში ოჯახური მზრუნველობას მოკლებული ბავშვები შეადგენენ, რადგან მათ არავინ აკონტროლებთ. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ დანარჩენი ბავშვები დაზღვეულნი არიან ამ დანაშაულისგან და რისკის ზონაში ნორმალური ოჯახის ბავშვებიც შედიან. არასრულწლოვანთა ტრეფიკინგის სახეებია:

ბავშვთა შრომითი ექსპლუატაცია - ბავშის გამოყენება შრომით საქმიანობაში, დანაშაულებრივ ქმედებებში ან პროსტიტუციაში ჩაბმის მიზნით. არასრულწლოვანთა შავი შრომის გამოყენება სამრეწველო საწარმოებში, უკიდურესი ექსპლუატაციის პირობებში და სამუშაოს დატოვების ყოველგვარი შესაძლებლობების გარეშე. ასეთი სიტუაცია განსაკუთრებით მაშინ გამოიყენება, როდესაც ადამიანით ვაჭრობის ანუ ტრეფიკინგის პროცესში არიან ჩართულები არასრულწლოვნის ახლობლები ან ნათესავები ან ბავშვი მარტოა და ამის გამო მისი დაშინების შესაძლებლობა მეტია ვიდრე სხვა შემთხვევაში. ბავშვს აიძულებენ იმუშაოს სამშენებლო სექტორში - მშენებლობებზე, სოფლის მეურნეობაში - პლანტაციებში, ასევე გავრცელებულია მათი დასაქმება მსუბუქ მრეწველობაში, მაღაროებში, ბაზრობებზე. ბავშვის შრომის გამოყენების ერთ-ერთი ფორმაა ასევე მათხოვრობა, როდესაც მოგების მიზნით ხდება არასრულწლოვნის დაშინება, შეურაცხყოფა და მოწყლების თხოვნის იძულება. სტოკჰოლმის 1996 წლის მსოფლიო კონგრესზე მიღებული დეკლარაცია - „ბავშვთა კომერციული სექსუალური ექსპლუატაცია - ბავშვის უფლებების სერიოზული დარღვევაა. იგი მოიცავს სრულწლოვნის მხრიდან ბავშვზე სექსუალურ ძალადობას ან ექსპლუატაციას და ფულით ანდა ნატურით ანაზღაურებას ბავშვისთვის ან მესამე პირისთვის. ბავშვი განიხილება როგორც სექსის და ვაჭრობის საგანი. ბავშვთა კომერციული სექსუალური ექსპლუატაცია არის იძულების და ძალადობის ფორმა ბავშვებზე და უთანაბრდება იძულებით შრომას და მონობის თანამედროვე ფორმას“.[64]

[64] ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალ შეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. გვ. 397

- ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია - ბავშვის გამოყენება იძულებით სექსუალურ ურთიერთობებში ჩაბმის მიზნით, რისთვისაც ბავშვს ან სხვა პირებს გასამრჯელოს უხდიან. ეს ბიზნესის ერთ-ერთი მომგებიანი საშუალება არის განვითარებად ქვეყნებში და იმისთვის, რომ არასრულწლოვანი ჩაერთოს პროსტიტუციაში ექსპლუატაციის შემდეგ, გამოყოფენ ოთხ ფაზას: 1) მსვერპლთა გადაბირება მათი წარმოშობის ქვეყნებში; 2) მსხვერპლთა გადაყვანა დანიშნულების ქვეყანაში; 3) ექსპლუატაცია; 4) მსხვერპლთა გაქცევის მცდელობა (რაც ძალიან ხშირია და სწორედ ამიტომ არის ცალკე ფაზად გამოყოფილი). როდესაც გოგონებს დაშინებითა და მუქარით დაიყოლიებენ პროსტიტუციაზე თუ მათ პოლიცია დაიჭერს, ძალიან რთულია რეალურად ამ არასრულწლოვნების იდენტიფიცირება, რადგან არიგებენ რომ ასაკი დამალონ, ასევე პოლიციისგან თავის დაღწევის მიზნით მათ ამუშავებენ უფრო მეტად დახურულ ადგილებში და ხშირად გადაჰყავთ ერთი ადგილდან მეორეში.[65]

აღნიშნულ შემთხვევებში დიდი ალბათობაა იმისა, რომ ზიანი მიადგეს ბავშვის როგორც ფიზიკურ ასევე ფსიქიკურ ჯანმრთელობას და შეექმნას საფრთხე მის სიცოცხლეს, ასეც ხდება იმ ბავშვებთან ვინც ტრეფიკინგის მსხვერპლია, მათ აქვთ ორივე ტიპის პრობლემები. ეს კი გამოწვეულია მთი ცხოვრების არაადამიანური პირობებით, სანიტარული პირობების დაბალი დონით ან არ არსებობით, არასრულფასოვანი კვებითა და პირადი ჰიგიენის დაუცველობით, მათ მიმართ გახორციელებული ფიზიკური ძალადობისა და შრომის სახიფათო პირობებით. რაც უფრო დიდია მსხვერპლის ექსპლუატაციის დრო მით მეტი პრობლემები აქვს მას. რადგან ეს ბავშვები დაავადების ან ჯანმრთელობის პრობლემის ადრეულ სტადიაზე ვერ იღებენ სამედიცინო მომსახურებას, მისი დეფიციტის გამო, შემდგომ უკვე მდგომარეობა მეტად რთულდება და მძიმდება, რაც დამატებით უქმნის საფრთხეს მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

[65] ირინე ხერხეულიძე. ტრეფიკინგში „მიწოდება_მოთხოვნის ბაზარი“ _ რეალობა, საფრთხეები და მის შესამცირებლად მიმართული ტენდენციები. გვ 39-40.

გამოიყოფა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, რომლებიც ყველაზე ხშირია ტრეფიკინგის მსხვერპლ ბავშვებთან.[66]

ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემები:

- კვებითი დარღვევები;
- ტუბერკულოზი;
- სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები, შიდსი;
- ფეხმძიმობა;
- ზურგის, სმენის, გულ-სისხლძარღვთა ან სასუნტქი სისტემების ქრონიკული პრობლემები;
- უნაყოფობა;
- სტომატოლოგიური პრპბლემები;
- გამოუვლენელი დაავადებები, როგორიცაა დიაბეტი ან კიბო;
- სისხლჩაქცევები, იარები და ფიზიკური ძალადობის, წამების სხვა კვალი.

ფსიქიკური ჯანრთელობის პრობლემები:

- დანაშაულის გრძნობა;
- დეპრესია;
- აგრესიულობა;
- იძულებითი ან საკუთარი ნებით ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემები;
- პანიკის რეაქცია;
- ფობიები(შიშები);
- ცნობიერების ბუნდოვანება;
- ორიენტაციის დარღვევები;
- დაუცველობის, სირცხვილის, დამცირების, შოკის, განკიცხულობის, უიმედობის განცდები;

[66]საქართველოსსაზოგადოებრივიჯანდაცვისფსიქოლოგიეკატერინე თავართქილაძე. თემა - „სექსუალური ძალადობა ბავშვზე“.

- გარემომცველთა მიმართ უნდობლობა;
- უმწეობა და საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის არარსებობა.[67]

ტრეფიკინგის მსხვერპლთა მდგომარეობა ძალიან მძიმეა და მის შედეგს წარმოადგენს საკუთარი თავის ან სხვის მიმართ მიმართული აგრესია, რომელიც სიცოცხლის მოსპობით შეიძლება დასრულდეს. მათი განცდები გავლენას ახდენს ოჯახის, მეგობრების, რელიგიურ და კულტურულ სისტემებზე და იწვევს ბაზისური მიჯაჭვულობის დარღვევას, ღირებულებების მსხვრევას. ტრეფიკინგის მსხვერპლს ხშირად აღენიშნებათ პოსტრამვული სტრესით გამოწვეული დარღვევები, რომლებიც იმ ტრამვული გამოცდილებით ჩნდება რაც მათ ჰქონადთ. ასვე მსხვერპლის დამოკიდებულება რადიკალურად ნეგატიურად შეიძლება შეიცვალოს გარემოს, ხალხის, ხელისუფლების ან ნებისმიერი ადამიანის მიმართ, რასაც იწვევს მათში დაგროვილი აგრესია და შიშისგან, ტანჯვისგან გამოწვეული უნდობლობა. ტრეფიკინგის მსხვერპლ ბავშვებს სტანჯავს სირცხვილისა და შიშის განცდა, ძლიერი სულიერი ტკივილი, რომლის განკურნებაც ძალიან რთულია.[68]

პოსტტრამვული სტრესული აშლილობის დროს ხშირია თვითმკვლელობის მცდელობები, შესაბამისად ტრეფიკინგის მსხვერპლთა ამგვარი მძიმე მდგომარეობისას მათ სჭირდებათ ნორმალური სამედიცინო დახმარება, რასაც სახელმწიფო უნდა უზრუნველყოფდეს. 2017 წლიდან საქართველოშიი ფუნქციონირებს სტრესის მართვისა და მენტალური ჯანმრთელობის ცენტრი, რომელიც ეხმარება ადამიანებს „ფსიქოლოგიური კეთილდღეობის“ და სოციალური ფუნქციონირების სრულფასოვან აღდგენაში. თუ ტრეფიკინგის მსხვერპლის მკურნალობა არ მოხდება მათთვის საჭირო და მათი მდგომარეობისთვის შესაბამის გარემოში ბუნებრივია გართულდება მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა და ისინი ვეღარ შეძლებენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები იყვნენ.[69]

---

[67]საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი - http://phf.org.ge/ka/
[68]იხ;სქოლიო 51. თემა „ბავშვზე ძალადობა“.
[69] სტრესის მართვის და მენტალური ჯანმრთელობის ცენტრი_Stress management and Mental Health Center.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია ეს ბავშვები საჭიროებენ სერიოზულ დახმარებას ფსიქოლოგებისა და ექიმების მიერ. ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის არის ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია და მისი ძირითადი კომპონენტებია:

- კონტროლის გაძლერება. მოვაჭრეები ცდილობენ მსხვერპლს საკუთარ თავზე კონტროლი დააკარგვინონ; წარმატების მისაღწევად გამოყენებული სტრატეგიები მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლს მიეცეს საკუთარი მდგომარეობისა და გამოჯანმრთელების პროცესის კონტროლის საშუალება;
- უსაფრთხოების გრძნობის აღდგენა. სანამ უსაფრთხების გრძნობა არ აღდგება, სერიოზული შედეგების მიღწევა შეუძლებელი იქნება;
- სხვა პირების მიმართ მიჯაჭვულობებისა და მათთან კავშირების აღდგენა. იმ ადამიანთა ქცევებისა და ჭეშმარიტი მხარდაჭერის სურვილი, რათა ტრავმირებულ ადამიანში აღდგეს სხვების მიმართ ნდობა და იმის ხელახალი განცდა, ომ მის გარშემო არიან ადამიანები, რომელთათვისაც მისი ბედი მნიშვნელოვანია;
- ცხოვრების აზრისა და მიზანსწრაფულობის, აგრეთვე პირადი ღირსებისა და საკუთარი თავის პატივისცემის აღდგენა.

ტრეფიკინგის მსხვერპლ არასრულწლოვნებთან, ასევე მნიშვნელოვანი როლი აქვთ სოციალურ სამსახურებს, მედიას და ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებს. მათი როლი კი მდგომარეობს შემდეგში:

- მშობლებსა და შვილებს შორის კონტაქტების მოწესრიგებაზე ზრუნვა;
- მუშაობის წარმოება სკოლაში, აგრეთვე უშუალო კავშირების დამყარება ოჯახებთან;
- მხარდაჭერა შემოსავლიანი სამუშაოს პოვნაში, ეკონომიკური მხარდაჭერა;
- მედიაში ტრეფიკინგის პრობლემების გაშუქება პროფესიონალურ დონეზე.

- რისკ-ჯგუფის წევრთა ცნობიერების ამაღლება ტრეფიკინგის ამოცნობასა და მისგან დაცვის ხერხების სწავლების გზით.

ბავშვთა ტრეფიკინგის ბრძოლისა და პრევენციის ძირითად საერთაშორისო ინსტრუმენტს წარმოადგენს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია და მისი ფაკულტატური ოქმი. ეს დოკუმენტი მოიცავს იმ მინიმალური მოთხოვნების ჩამონათვალს, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს სახელმწიფომ და რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს ნაციონალური კანონმდებლობა, რადგან ბავშვები იყვნენ დაცულები ვაჭრობისგან (ტრეფიკინგისგან), პროსტიტუციაში ან პორნოგრაფიაში ჩაბმისგან.[70]

პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის თანახმად (მიღებულ იქნა 2000 წლის 15 ნოემბერს იტალიაში - ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ადამიანთა, განსაკუთრებით ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დამნაშავეთა დასჯის დამატებითი პროტოკოლი[71]), „ბავშვის გადაბირება, ტრანსპორტირება, გადაყვანა, გადამალვა ან მიღება ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგად მიიჩნევა მაშინაც, თუ ბავშვის მიმართ გამოყენებული არ ყოფილა ადამიანთა ტრეფიკინგის დეფინიციით გათვალისწინებული რომელიმე საშუალება“. მაშასადამე ამ ოქმის მიხედვით არ აქვს მნიშვნელობა რა საშუალება იქნა გამოყენებული ბავშვის გადასაყვანად აქ მთავარია მიზანი (ექსპლუატაცია) და ეს ქმედება ითვლება ტრეფიკინგად. ხოლო იმისათვის, რომ ეს დეფინიცია გამარტივებულიყო, ამერიკულმა ორგანიზაცია - ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ჯგუფმა - შეიმუშავა დეფინიციის გამარტივებული ვარიანტი, რომლის მიხედვითაც „ადამიანთა ტრეფიკინგი ნიშნავს ადამიანთა (შეგროვებას) გადაბირებას, გადაყვანას, გადაცემას, გადამალვას ან მიღებას ნებისმიერი საშუალებით, იძულებითი შრომის ან მომსახურების, მონობის ან მონობის

[70] ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. გვ. 438
[71] იხ. იქვე . გვ 387.

მსგავსი მდგომარეობის, სერვიტუტის ან ორგანოთა გადანერგვის მიზნით“. აღნიშნული დეფინიცია ამარტივებს მტკიცებულების მოპოვების პროცესს.[72]

დღესდღეობით საქართველოში სახელმწიფოსა და არასამთავრობო ორგანიზაციის ერთობლივი ძალებით, ტრეფიკინგთან ბრძოლა წარმატებულია. ბუნებრივია ეს ისეთი დანაშაულია, რომ მისი მაქსიმალური ან ას პროცენტიანი რეგისტრაცია შეუძლებელია, თუმცა ის საქმეები, რაც ოფიციალური მონაცემებით სასამართლოს სტატისტიკითა და ორგანიზაციების მიერ მსხვერპლთა იდენტიფიკაციის შედეგად დაგროვდა არც თუ ისე მცირეა.

მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა ღონისძიებები ტარდება ტრეფიკინგთან საბრძოლველად. ყველა ქვეყანა ცდილობს ამ დანაშაულის მსხვერპლთა შემცირებას მათი დაცვით, თუმცა ეს რთული პროცესია და მუდმივად მუშაობას საჭიროებს. ცდილობენ ამ პრობლემას ებრძოლონ: კანონით, მოძალადეთა სახელების გასაჯაროებით, მოწოდებებით, რომ ტრეფიკინგი არის ადამიანურობის საწინააღმდეგო დანაშაული, რეკომენდაციებით და ა.შ. მსხვერპლთა დაცვის აუცილებელი პირობაა მათი იდენტიფიკაცია, ამიტომ მსხვერპლის ან პოტენციური მსხვერპლის გამოსავლენად იყენებენ ცნობილი და სავარაუდო ფაქტების ერთობლიობას, რაც ნიშნავს რომ ბავშვი არის ან იქნება ვაჭრობის მსხვერპლი. მაგალითად თუ აღმოაჩენენ, რომ 18 წელს მიუღწეველი ადამიანი ეწევა პროსტიტუციას, აქ უკვე ჩნდება ეჭვი, რომ ის არის ტრეფიკინგის მსხვერპლი. ეს ბავშვები შეიძლება ამოიცნონ, როგორც სამართალდამცავი ორგანოს მუშაკებმა, ასევე სოციალურმა მუშაკება, მასწავლებლებმა, მშობლებმა და კლიენტებმაც, ამ ადამიანებს შეუძლიათ დიდი წვლილის შეტანა ბავშვების გადარჩენაში. მაშასადამე ის რაც სახელმწიფომ ამ ბავშვებისთვის უნდა გააკეთოს არის მათი იდენტიფიკაცია და შემდგომში დახმარება თავშესაფრით, კომპენსაციით, სამედიცინო და სხვა პროგრამებით.[73]

---

[72] მარინა მესხი - „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სამართლებრივი ასპექტები, მასთან ბრძოლის მეთოდები, გამოცდილება და პერსპექტივათა ხედვა“.

[73] ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. გვ.435-438

3.3. ტრეფიკინგისმსხვერპლისმომსახურებითსარგებლობა

სსსკ-ს 2007 წლის 8 მაისს დაემატა143^3მუხლი,(ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა, რაც ქართულ სისხლის სამართალში ნოვაციას წარმოადგენს. აღნიშნული მუხლის მიღება განაპირობა „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" ევროსაბჭოს კონვენციის მე-19 მუხლის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც კონვენციის წევრ სახელმწიფოებს მიეცათ რეკომენადაცია ეროვნული კანონმდებლობით გამოეცხადებინათ დანაშაულად ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის ისეთი მომსახურებით სარგებლობას, რომელიც წარმოადგენს ადამიანით ვაჭრობის დანაშაულით გათვალისწინებულ ექსპლუატაციას. სწორედ აღნიშნულის გამოძახილია სსკ 143^3მუხლი.[74]

ტრეფიკინგის განვითარებას ხელს უწყობს ქვეყანაში სიღარიბის დაბალი მაჩვენებელი, ოჯახური სიძნელეები, ადამიანის მცდელობა შეიქმნან, ეძიონ ცხოვრების უკეთესი პირობები მაშინ, როცა სხვა ადგილას არსებობს მოთხოვნილება მათ შრომასა და მოთხოვნილებაზე, სანამ ასეთი მოთხოვნა იქნება, მიწოდებაც იქნება და იარსებებსდამნაშავეობა მაგალითად, ბავშვთა კომერციული სექსუალური. ექსპლუატაცია არსებობს იმიტომ, რომ არსებობს მასზე მოთხოვნილება. ამასთანავე, პროსტიტუციაში ან სხვაგვარ სექსუალურ ქმედებებში ჩაბმული ბავშვების მიმართ ადმინისტრაციული ან სისხლისამართლებრივი ზემოქმედების ზომების გამოყენების საფუძველი არ არსებობს, მათ სჭირდებათ ზრუნვა და დაცვა. დამნაშავეები ექსპლუატატორები, სუტინიორები და თავად კლიენტები არიან, ისინი უნდა იდევნებოდბნენ სასამართლო წესით და არა ბავშვები.[75]

ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ ევროკონვენციის მე-6 მუხლი ადამიანით ვაჭრობის მოთხოვნასთან ბრძოლის ზომებს ეთმობა. ამ მუხლით კანონმდებელმა

---

[74] ჯემალ ჯანაშია. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო და შიდა ეროვნული სამართლებრივი მექანიზმები და რეგულაციები. გვ 68-69.

[75] ირინე ხერხეულიძე. ტრეფიკინგში „მიწოდება_მოთხოვნის ბაზარი" _ რეალობა, საფრთხეები და მის შესამცირებლად მიმართული ტენდენციები. გვ 37-38.

აუცილებლად ჩათვლა ხაზი გაესვათ ადამიანით ვაჭრობის მოთხოვნილებასთან ბრძოლის მნიშვნელობისათვის, რომლის მიზანია კლიენტების მხრიდან მოთხოვნილების შემცირება. რაც შეეხება, ევროკონვენციის მე-19 მუხლს. ამ მუხლის მიხედვით, მონაწილე მხარეები ვალდებულები არიან განიხილონ საკითხი წინასწარი შეცნობით ტრეფიკინგის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობის სისხლის სამართლის დანაშაულად აღიარების შესახებ. რის გამოც ეს ნორმა ხელშეკრულების ტექსტში ჩაურთეს იყო ის რომ არ წაეხალისებინათ ადამიანით ვაჭრობის განვითარება. ეს ნორმა მიმართულია კონვენციით გათვალისწინებული ნებისმიერი სახის ექსპლუატაციის მსხვერპლის კლიენტზე. ამ ნორმის მიხედვით დამნაშავეა, მაგალითად, ბიზნესის მესაკუთრის მიერ, ადამიანით მოვაჭრეების მხრიდან მიწოდებული მუშახელის შეგნებულად გამოყენება, ამ შემთხვევაში ბიზნესის მესაკუთრის მოქმედება ტრეფიკინგად ვერ შეფასდება, რადგან იგი თავად არ ახდენდა მსხვერპლთა გადაბირებას და დამოუკიდებლად არ გამოუყენებია ტრეფიკინგის დეფინიციით გათვალისწინებული რაიმე საშუალება, მაგრამ იგი აუცილებლად იქნება მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობაში დამნაშავე, ასევე მეძავის კლიენტი, რომელიც საქმის კურსში იყო რომ ქალი გაყიდული იყო, იგივენაირად პასუხს აგებს მსხვერპლით მომსახურებით სარგებლობისთვის.[76]

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მე-19 მუხლის მიხედვით სისხლის სამართლის წესით უნდა იდევნებოდეს ისეთი მომსახურებით სარგებლობა, რაც ექსპლუატაციის საგანია ტრეფიკინგის დეფინიციის მიხედვით. იგი მიმართულია იმ პირთა დასჯისაკენ, ვინც მონაწილეობს მსხვერპლის ექსპლუატაციაში. ეს ნორმა არ ეხება მეძავის, როგორც ასეთის, მომსახურებით სარგებლობას. აღნიშნული მომსახურებით სარგებლობა კონვენციის მე-19 მუხლში მოექცევა, თუ კონკრეტული მეძავის ექსპლუატაცია ხდება ადამიანებით ვაჭრობასთან დაკავშირებით, ე.ი. როცა არსებობს ტრეფიკინგის დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები. აღნიშნული კონვენცია

[76] ტრეფიკინგის ევროპული კონვენცია - ადამიანით უკანონოდ ვაჭრობის წინააღმდეგ. მუხლი 6. https://rm.coe. int/168008371d.

პროსტიტუციის ექსპლუატაციასა და სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმებს ეხება მხოლოდ ადამიანებით ვაჭრობის კონტექსტში. ევროკონვენციის მიხედვით, იმისთვის, რომ პირმა ვაჭრობის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობისთვის აგოს პასუხი, ამ მოქმედების ჩადენის დროს უნდა იცოდეს, რომ ეს პირი ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლია. თუ ეს მისთვის ცნობილი არ იყო, რა თქმა უნდა, არ შეიძლება დაისაჯოს. ამის მტკიცება სამართალდამცავი ორგანოსთვის არ არის მარტივი.[77]

უნდა ითქვას, რომ ევროკონვენციის მე-19 მუხლი არ არის სავალდებულო, ის სარეკომენდაციო ხასიათისაა. თუმცა ზოგიერთმა სახელმწიფომ გაანალიზა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია ღირებულია და მნიშვნელოვანია. საქართველო აღნიშნული სახელმწიფოთაგან ერთ-ერთი აღმოჩნდა. ჩვენი კანონმდებლობით, კლიენტების პასუხისმგებლობა პროსტიტუციისათვის დადგენილი არ არის. ცხადია, მით უფრო დასჯადი არაა პროსტიტუცია ბავშვების მხრიდან, მაგრამ 2007 წლის 8 მაისს შემოღებულ იქნა პასუხისმგებლობა ტრეფიკინგის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობისათვის, ე.ი წინასწარი შეცნობით სსკ143^1და143^2მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის მსხვერპლის ან დაზარალებული პირის ისეთი მომსახურებით სარგებლობისათვის, რომელიც ამავე კოდექსის 143^1მუხლის თანახმად წარმოადგენს ექსპლუატაციას.[78]

ადამიანთა ვაჭრობის მსხვერპლი არის პირი, რომელსაც ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგით) დანაშაულის შედეგად მიადგა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი, ხოლო დაზარალებული არის პირი, რომელიც სსსკ-ის 143^1ანდა 143^2მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში ცნობილია დაზარალებულად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. აღნიშნული დანაშაულის სისხლის სამართლის დაცვის ობიექტია იმ ადამიანების პირადი უფლებები, რომლებიც ცნობილი არიან სსკ 143^1და 143^2 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის მსხვერპლად ან დაზარალებულად.

---

[77] ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. გვ 471.
[78] იხ;იქვე მუხლი 19.

საქართველოს კანონდმებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირი ადამიანთა ვაჭრობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი) დღესდღეობით არის თბილისსა და ბათუმში. აღნიშნული დაწესებულების მიზანია ამ დანაშაულის მსხვერპლთა თავშესაფრით უზრუნველყოფა. ასევე იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო ან სხვა სახის მომსახურება. დაწესებულება იქმნება სპეციალური სახელმწიფო ფონდიდან, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტრუქტურული ერთეული. რა თქმა უნდა, ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირსაც შეუძლია კანონთან შესაბამისობის ფარგლებში შექმნას კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირი, თავშესაფარი. როდესაც პირს ადამიანით ვაჭრობის მსხხვერპლის სტატუსი მიენიჭება, უფლება ეძლევა მიმართოს თავშესაფარს და ისარგებლოს ხსენებული კანონით გათვალისწინებული უფლებებით. ამასთანავე ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის სტატუსის მოპოვებით პირს არ აღმოუცენდება სსსკ მინიჭებული უფლება-მოვალეობები. რაც შეეხება განსახილვევი დანაშაულის ობიექტურ მხარეს, იგი გამოიხატება ამ პირის ისეთი მომსახურებით სარგებლობაში, რომელიც 143^1მუხლის თანახმად წარმოადგენს ექსპლუატაციას. აქ არ უნდა ვიგულისხმოთ ყველა ის ქმედება, რაც სსკ 143^1მუხლს შენიშვნის თანახმად მიჩნეულია ადამიანის ექსპლუატაციად, არამედ მხოლოდ ის ქმედება, რაც მიჩნეულია მომსახურების გაწევად. კეროდ, პირის გამოყენება მომსახურების ან იძულებითი შრომის, დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ან პროსტიტუციაში ჩაბმის, სექსუალური ექსპლუატაციის ან სხვ სახის მომსახურების გაწევის მიზნით.[79]

აქედან უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ თუ ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირს სხვაგვარ ექსპლუატაციაში ჩააბამენ (მაგალითად, აიძულებენ ორგანოს ან ქსოვილის გადანერგვას), ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა 143^3მუხლით, არამედ 143^1ან 143^2მუხლებით. აღნიშნული დანაშაული დამთავრებულია მაშინ, როცა პირი ისარგებლებს მსხვერპლის ან დაზარალებულის ასეთი მომსახურებით. ამასთან თუ დაზარალებულის ან მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობა ხდება თავშესაფარში, თავშესაფრის თანამშრომლის მიერ, ქმედება

[79] თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი: დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. გვ 277-282.

დაკვალიფიცირდება 143^3მუხლის მე-2 ნაწილით „დ“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს იგივე ქმედებას ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.[80]

დანაშაულის ამსრულებელი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული, შერაცხადი პირი ე.წ. „კლიენტი“, ხოლო სპეციალური ამსრულებელი - 143^3მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით. სუბიექტური მხრივ, რომ აღვნიშნოთ, დანაშაულის მიზანსა და მოტივს არ აქვს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა. იგი შეიძლება იყოს სექსუალური ხასიათის მოტივი, ანგარება და სხვა.

რაც შეეხება ბრალის ფორმას. ამის მიხედვით დანაშაული გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. კერძოდ დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს ის, რომ ექსპლუატაციას უწევს ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლს ან დაზარალებულად ცნობილ პირს ან სურს ეს.

თავი IV

ტრეფიკინგიდამომიჯნავედანაშაულები

4.1.ტრეფიკინგიდატრეფიკინგისმსვერპლისმომსახურებითსარგებლობა

[80] იხ; იქვე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) არის ადამიანის უფლებათა დარღვევის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე შემთხვევა, რომელიც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს სსკ-ის 143^1-ე მუხლით. არასრულწლოვნით ვაჭრობა კი, როგორც ტრეფიკინგის ერთ-ერთი მძიმე შემთხვევა, ქართულ სსკ-ით ცალკე შემადგნელობად არის გათვალისწინებული 143^2. როგორც უკვე ითქვა, ტრეფიკინგთან სისხლისამართლებრივი ბრძოლის გაძლიერების მიზნით 2007 წლის 8 მაისის კანონით, ცალკე, დამოუკიდებელი შემადგენლობით დაწესდა იმ პირთა დასჯადობა, ვინც უშუალოდ კი არ ჩაიდენს ტრეფიკინგს, არამედ ისარგებლებს ამ დანაშაულის მსხვერპლის ისეთი მომსახურებით, რომელიც ტრეფიკინგის შემადგენლობის მიხედვით წარმოადგენს ექსპლუატაციას (143^3მუხლი).

პალერმოს ოქმის მიხედვით, ადამიანის ექსპლუატაცია გულისხმობს არა მარტო ადამიანის პროსტიტუციის ან სხვა სახის სექსუალურ ექსპლუატაციას ან იძულებით შრომას, არამედ ასევე მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობას. აქ ხაზი გასმულია ტრეფიკინგის მსხვერპლის მიერ მომსახურების გაწევაზე, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე.როგორც აღვნიშნეთ, ტრეფიკინგის დანაშაულის მიზანია ექსპლუატაცია, რაც თავის თავში ექსპლუატაცია მოიცავს, როგორც სხვა პირთა პროსტიტუციის ექსპლუატაციის ან სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმებს, იძულებით შრომას, მომსახურებას, რომელიც წარმოადგენს დაზარალებულის მონობის ან მონობის მსგავს მდგომარეობის გამოვლენას.[81]

სისხლის სამართლის კოდექსის 143^3-ე მუხლის მიზანს წარმოადგენს იმ სუბიექტთა წრე გააფართოვოს, რომლებიც სისხლის სამართლის წესით ისჯებიან ტრეფიკინგის დანაშაულთან პირდაპირი თუ არაპირდაპირი კავშირის გამო.

მაგალითისთვის: 2004 წლის ზაფხულში გორის რაიონიდან რუსთავში ჩამოსული პიროვნება სამსახურის შოვნის მიზნით მივიდა ნაცნობთან, რომელმაც იგი მიიყვანა ერთ-ერთ სასტუმროში. მას ეგონა, რომ იგი იმუშავებდა იქ დამლაგებლად, მაგრამ სინამდვილეში აღნიშნულმა ნაცნობმა ჩაკეტა იგი ოთახში და აიძულებდა

[81] მარინა მესხი. ექსპლუატაცია, როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მიზანი პალერმოს ოქმის მიხედვით. გვ 62-64.

სექსუალური მოსახურება გაეწია კლიენტებისთვის. რა თქმა უნდა ამის შედეგად დაზარელბული გახდა ტრეფიკინგის მსხვერპლი, ხოლო იმ მამაკაცმა, ვინც წინასწარი შეცნობით ისარგებლა ამ მომსახურებით, დღევანდელი საკანონმდებლო მდგომარეობით ჩაიდინეს დანაშაული, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 143^3-ე მუხლით.[82]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მრავალფეროვანია ტრეფიკინგის გამოვლენის შემთხვევები და იგი დღეისთვის უკვე აღარ შემოიფარგლება სექსუალური ექსპლუატაციით, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მრავალფეროვანია მსხვერპლის ანუ დაზარალებულის მომსახურების ფორმები, რომლებიც სსკ-ის 143^3-ე მუხლით პასუხისმგებლობას იწვევენ.[83]

აღნიშნული ნორმის მიხედვით, დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, ბიზნეს-მესაკუთრის მიერ ადამიანით მოვაჭრეების მხრიდან მიწოდებული მუშახელის შეგნებული გამოყენება. იქიდან გამომდინარე, რომ იგი თავად არ ახდენდა მსხვერპლთა გადაბირებას და დამოუკიდებლად არ გამოუყენებია ტრეფიკინგის დეფინიციით გათვალისწინებული რაიმე საშუალება, ამ შემთხვევაში მისი მოქმედება ტრეფიკინგად ვერ შეფასდება, თუმცა ის დამნაშვე იქნება მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობაში. სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენად შეიძლება ჩაითვალოს მეძავის კლიენტი, რომელმაც იცის, რომ იგი არის ადამიანებით უკანონო ვაჭრობის მსხვერპლი, ასევე ის ადამიანიც ვინც შეგნებულად გამოიყენებს ტრეფიკინგით მოვაჭრეთა მომსახურებას რაიმე ორგანოს შეძენის მიზნით. ორივე შემთხვევაში მოქმედებს საქართველოს სსკ-ის 143^3 და კონვენციის მე-19 მუხლი. ასევე, აღნიშნულ მუხლს დაემატა შენიშვნა, რომლის მიხედვითაც, ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა მომსახურების მიმღები პირის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას, თუ იგი ითანამშრომლებს სამართალდამცავ ორგანოებთან და გამოძიების დაწყებამდე ნებაყოფლობით განაცხადებს ჩადენილი ქმედების შესახებ. აღნიშნული ცვლილება

[82] მაგალითი მოყვანილია - მზია ლეკვეიშვილი. ნონა თოდუა. გოჩა მამულაშვილი. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი I.

[83] მზია ლეკვეიშვილი. ნონა თოდუა. გოჩა მამულაშვილი. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი I. გამომცემლობა მერიდიანი.გვ 165-168.

ემსახურებოდა იმას, რომ წახალისებულიყო სამართალ დამცავ ორგანოებთან თანამშრომლობა, ასევე, ამით ხელი შეეწყობოდა ტრეფიკინგთან ბრძოლას.[84]

სსკ-ის 143^3-ე მუხლის სანქციით დამნაშავე ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან თხუტმედ წლამდე. ამ მუხლის არსებობის მიზანშეწონილობა შეიძლება გავამართლოთ მხოლოდ ადამიანთა ტრეფიკინგის პრევენციის მხირვ, მაგრამ ფაქტია, რომ ამ მუხლის ცხოვრებაში განხორციელება, პირისთვის ბრალის წაყენება და, მითუმეტეს, მტკიცება, როგორც ვთქვით, რთული ამოცანაა, რაც ჯერჯერობით არ განხორციელებულა(საქართველოში არავინ გასამართლებულა ამ მუხლით.) ამ მუხლის სარგებლობაზე საუბარია ასევე 2010 წლის ამერიკის შეერთებული შტატების „ადამიანთა ტრეფიკინგის 2010 წლის ანგარიშში".[85]

4.2. ტრეფიკინგიდაპროსტიტუციაზედაყოლიება

ტრეფიკინგის (ადამიანით ვაჭრობა) არსი უკვე ნათელია ჩვენთვის და ახლა კონკრეტულად განვიხილავთ მის ერთ-ერთ ფორმას პროსტიტუციას - პროსტიტუციაზე დაყოლიებას. პროსტიტუცია უძველესი პროფესია, რომლის წარმომადგენლები (ძირითადად ქალები) ყიდიან თავიანთ სხეულს გასამრჯელოს მიღების მიზნით. ეს სოციალური მოვლენა ძველთაგანვეა ცნობილი და ყველა საზოგადოებრივი კულტურისთვისაადამახასიათებელი. სხვადასხვა კულტურებში არსებობდა და არსებობს სხვადასხვა სახის პროსტიტუცია: ქუჩის, საროსკიპოს, ტაძრის, საერო, სამასპინძლო და ა.შ.[86]

პროსტიტუციის ტრადიციულ გაგებასა და ტრეფიკინგის მსხვერპლ პროსტიტუტს შორის განსხვავება არის, რომ ამ უკანასკნელის შემთხვევაში ეს ხდება

---

[84] ირინე ხერხეულიძე. ტრეფიკინგში „მიწოდება _ მოთხოვნის ბაზარი"_რეალობა, საფრთხეები და მის მესამცირებლად მიმართული ტენდენციები. გვ. 43-44.

[85]მიხეილ ბაძაღუა. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინოლოგიური დახასიათება. საქართთველოს მაგალითზე. თბილისი. 2010. გვ 51.

[86] სამოქალაქო განათლების ლექსიკონი - www.nplg.gov.ge

ძირითადად საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ და მიღებული თანხა ეკუთვნის მთლიანად მის „მფლობელს“ (ვინც ჩართო პროსტიტუციაში). აქედან გამომდინარე, ტრეფიკიორები, როდესაც მსხვერპლს ირჩევენ მისი მოტყუების სხვადასხვა ხერხი აქვთ. ერთ-ერთი ასეთი არის, ადამიანის დაყოლიების ფორმა - გადაბირება, რომელიც ნიშნავს პირის დაყოლიებას ექსპლუატაციაში, ეს შეიძლება განხორციელდეს იძულებით, მოტყუებით ან შანტაჟით.[87]

მნიშვნელოვანია პროსტიტუციის გენდერულად გამოკვეთილი ხასიათი. კერძოდ, სხვადასხვა კვლევები აჩვენებს, რომ რეგისტრირებულ მსხვერპლთა დიდი ნაწილს ქალები შეადგენენ, როგორც იძულებითი შრომის, ისე სექსუალური ექსპლუატაციის (მომსახურების) თვალსაზრისით. ამ განსხვავების გამო აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა, ადამიანით ვაჭრობის თაობაზე 2009 წლის ანგარიშში, აღნიშნული შედეგები ქალების ამგვარ მოწყვლადობას მიაწერს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამოქალაქო ძირითად უფლებათა ნაკლებობას. ტრეფიკინგის მსხვერპლთა მთლიანი მაჩვენებლიდან 75% არის ქალი ან გოგონა, რაც ძალიან დიდი მაჩვენებელია და მოწმობს, რომ ქალთა ტრეფიკინგი სექსუალური ექსპლუატაციის ჩვეულ ფორმას წარმოადგენს. ექსპერტთა შედეგების მიხედვით, რაოდენობა უფრო მეტად მატულობს, რასაც ასევე კარგად ასახავს ადამიანთა მასების დინება, გადაადგილება, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან, აფრიკიდან, ლათინური ამერიკიდან, კარიბის ქვეყნიდან და აზიიდან.[88]

მიუხედავად იმისა, რომ ქალები შეადგენენ მსხვერპლთა უმეტეს ნაწილს, ეს არ გამორიცხავს ვაჟების ამ ფორმით ექსპლუატაციას და ასეთი შემთხვევებიც არაერთი ყოფილა. კვლევები ადასტურებენ, რომ გავრცელებულია ქუჩის პროსტიტუცია, ასევე პროსტიტუცია კერძო სახლებსა და ღამის კლუბებში, აგრეთვე პედოფილურ-პორნოგრაფიებში გამოყენება. ბავშვის ექსპლუატაციის ამ ფორმას თან ახლავს ფიზიკური ძალადობა, შეურაცხყოფა და სასტიკი მოპყრობა. ბავშვები, რომლებიც

[87]მარინა მესხი. პარაგრაფი 3.2.1.

[88] ირინე ხერხეულიძე. ტრეფიკინგში „მიწოდება _ მოთხოვნის ბაზარი“_რეალობა, საფრთხეები და მის მესამცირებლად მიმართული ტენდენციები. გვ 39.

ქუჩაში იმყოფებიან და არ აქვთ თავშესაფარი მათი დაყოლიება ტრეფიკიორისთვის მარტვია, რადგან სთავაზობენ იმას რაც აკლიათ (საჭმელი, სითბო,სახლი) და ისინიც თანხმდებიან წინადადებას. თუმცა ტრეფიკინგის და კერძოდ სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ჩვეულებრივი ოჯახის მქონე შვილი, რომელსაც სახლიც აქვს და მშობლებიც ყავს, ამ შემთხვევაში როგორც წესი ისინი რაიმე შეთავაზებით ტყუვდებიან, მაგალითად, სამოდელო ბიზნესში მუშაობის შეთავაზება არის ამის ერთ-ერთი მაგალითი, გოგონას სთავაზობენ მოდელობას და კარგ პირობებს, მაშინ როცა შეთავაზება მშობლებისთვისაც მიმზიდველია ამგვარად ხდება მოზარდის დაყოლიება და ტრეფიკიორთა ხელში ჩავარდნა.[89]

ტრეფიკიორები, როდესაც გადაიბირებენ მსხვერპლს და შემდეგ მოახდენენ მის ტრანსპორტირებას ექსპლუატაციის ადგილზე იგი ხდება დანაშაულებრივი ორგანიზაციის ან ინდივიდუალური მოვაჭრის საკუთრება. ამ ეტაპზე ტრეფიკიორები მკაცრად აკონტროლებენ მსხვერპლს, რათა თავიდან აიცილონ გაქცევა. ამისთვის კი სხვადასხვა ხერხს მიმართავენ, როგორიცაა მუქარა, შანტაჟი, იზოლირება, ტავისუფალი გადაადგილების აღკვეთა, ფიზიკური ძალადობა და სხვ. ყველაფერს აკეთებენ, რომ მსხვერპლს არც კი მოუნდეს გაქცევა და თუ ასე იქნება ვერ მოახერხოს.[90]

ბავშვთა პროსტიტუცია გლობალური პრობლემაა. მსოფლიოში უამრავ ბავშვს აიძულებენ ყოველდღიურად პროსტიტუციას. პროსტიტუციაში ითრევენ, როგორც გოგონებს ისე ბიჭებს. ბავშვის უფლებათა კონვენციის 34-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, რომ დაიცვან ბავშვი სექსუალური ექსპლუატაციის და სექსუალური ცდუნების ყველა ფორმისგან. სახელმწიფოები, რომლებიც ამ მიზნის ირგვლივ გაერთანდნენ, იღებენ ყველა აუცილებელ ზომას, რათა თავიდან აიცილონ: ა) ბავშვის დაყოლიება ნებისმიერი უკანონო სესუალურ ქმედებაზე ან ბავშვის იძულება მონაწილეობდეს ასეთ ქმედებებში; ბ) ექსპლუატაციის მიზნით

[89] ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. გვ 395-396.
[90]მარინა მესხი. „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სამართლებრივი ასპექტები, მასთან ბრძოლის მეთოდები, გამოცდილება და პერსპექტივათა ხედვა“. გვ 57-59.

ბავშვის გამოყენება პროსტიტუციაში ან სხვა უკანონო სექსუალურ პრაქტიკაში; გ) ექსპლუატაციის მიზნით ბავშვის გამოყენება პორნოგრაფიასა და პორნოგრაფიულ მასალებში. თუ სრულწლოვანთა პროსტიტუცია შესაძლებელია დაიყოს ნებაყოფლობით და იძულებით პროსტიტუციად, ბავშვთა პროსტიტუცია უპირობოდ უნდა ჩაითვალოს როგორც იძულებით. თუმცა ყველა ბავშვი იძულებით არ ებმება პროსტიტუციაში, მაგრამ იძულება რომელსაც მოზარდები განიცდიან არის ეკონომიკური ან სოციალური.[91]

პროსტიტუციასთან დაკავშირებით სსსკ-ში სამი მუხლი არსებობს. დასჯადია : 1. არასრულწლოვნის ჩაბმა პროსტიტუციაში ძალადობის, ძალადობის მუქარის ან მოტყუების გარეშე (171-ე მუხლის მე-3 ნაწილი), 2. პროსტიტუციაში ჩაგმა ძალადობით, ძალადობის ან ქონების განადგურების მუქარით, შანტაჟით ან მოტყუებით (253-ე მუხლი) და 3. პროსტიტუციისთვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემა (254-ე მუხლი). პროსტიტუცია სისხლის სამართლის წესით, როგორც ვიცითარ ისჯება.

მას შემდეგ, რაც ჩვენს კანონმდებლობაში შემოვიდა არასრულწლოვნით ვაჭრობის ნორმა (143^2მუხლი) სასამართლო პრაქტიკის წინაშე დადგა არასრულწლოვნის პროსტიტუციაში ჩაბმის და მისი სექსუალური ექსპლუატაციის ანუ ტრეფიკინგის გამიჯვნის საკითხი. ხშირად ხდებოდა კვალიფიკაციებში არევა. როდესაც ქმედება ტრეფიკინგის ყველა ნიშანს მოიცავდა, აკვალიფიცირებდნენ არასრულწლოვნის პროსტიტციაში ჩაბმად. ამ ქმედებებს შორის ზღვარი უნდა იყოს გავლებული.

პროსტიტუცია ლათინური სიტყვაა დასიტყვა-სიტყვით „გასაყიდად გამოფენას“ ნიშნავს. პროსტიტუციაში ჩაბმის შემადგენლობა სახეზეა არა მხოლოდ მაშინ, როცა ადგილი აქვს არასრულწოვნის დაყოლიებას უცხო მამაკცებთან სქესობრივ კავშირზე, არამედ მაშინაც, როცა მას გასამრჯელოს ფასად აბამენ გაუკუღმართებული ფორმით სექსუალურ კონტაქტში ან გარყვნილ ქმედებაში. როგორც ცნობილია, გასახილვევი დანაშაულის იბიექტი არის ორივე სქესის

[91] გ. მამულაშვილი, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები და ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012, გვ399-400.

არასრულწლოვნის ნორმალური განვითარება. რაც შეეხება ტრეფიკინგს, როგორც უკვე აღინიშნა, იგი ადამიანის ყიდვა-გაყიდვას ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგებას გულისხმობს. ყიდვა-გაყიდვას და ექსპლუატაციას შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც ქალის, ასევე მამაკაცის მიმართ. თუმცა უფრო გავრეცელებულია მამაკაცის შრომითი და ქალის სექსუალური ექსპლუატაცია. ამ დანაშაულის მსხვერპლის როლიშია არასრულწლოვანი გოგონები, თუმცა არც არასრულწლოვანი ბიჭები უნდა გამოირიცხონ. მაგალითად, თუ უფროსი ეხმარება არასრულწლოვან გოგონას „კლიენტების შოვნაში", უთმობს ბინას, აძლევს რჩევა-დარიგებებს გასამრჯელოს ოდენობაზე და ა.შ, მან პასუხი უნდა აგოს არასრულწლოვანის პროსტიტუციაში ჩაბმისთვის, მაშინაც, როცა ეს უკანასკნელი ადრეც ეწეოდა ამ საქმიანობას. ასეთ შემთხვევაში, დამნაშავე, უფროსი, ხელს უწყობს მოზარდის შემდგომ მორალურ გახრწნას.[92]

განვიხილოთ მაგალითი: თბილისის ერთ-ერთი სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეები მაგდა და თეონა გაიპარნენ სახლიდან და ჩავიდნენ ქობულეთის ერთ-ერთ სოფელში, სადაც იქირავეს ოთახი ნანის სახლში. ნანიმ შესთავაზა მათ თანხის სანაცვლოდ მამაკაცებთან სექსობრივი კავშირი, რაზეც გოგონები დათანხმდნენ, იმ პირობით რომ ნანის აღებული თანხიდან 10 აშშ დოლარს მისცემდნენ. ნანის მხრიდან ძალადობას ან მუქარას არ ჰქონია ადგილი. გოგონები ერთი კვირის მანძილზე იღებდნენ შემოსავალს სქესობრივი კავშირისი სანაცვლოდ და შეთანხმებისამებრ უხდიდნენ ნანის თანხას. ნ-მ ჩვენებაში განაცხადა, რომ გოგონები გზას აცდენილები იყვნენ და ამიტომ გადაწყვიტა დამატებითი შემოსავლის მიღება მათგან. [93]

ნ-ს მსჯავრი დაედო სსკ-ის 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 254-ე მუხლით, რაც არასწორად მიაჩნიათ გამოცდილ პროფესორებს. მნიშვნელოვანია გარემოება, რომ ნ-მ დაიყოლია გოგონები იმ მიზნით, რომ დამატებითი შემოსავალი მიეღო. გოგონები საკუთარი სხეულის გაყიდვით მიღებული თანხის ნაწილს ნ-ს აძლევდნენ, აქედან ვასკვნით, რომ ნ ეწეოდა არასრულწლოვანი გოგონების სექსუალურ

[92]ცხოვრება და კანონი _ საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკული ჟურნალი N3(27,2014). თამარ ებრალიძის სტატია. გვ 26-28.
[93]იხ; იქვე. გვ 31.

ექსპლუატაციას და ამ გზით ღებულობდა შემოსავალს. ეს კი წარმოადგენს 143^2- ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს - არასრულწლოვნის გადაბირებას სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით, რადგან ეს უკანასკნელი მოიცავს არასრულწლოვანის პროსტიტუციაში ჩაბმის ნიშნებს და დამატებით 171-ე მუხლით კვალიფიკაცია საჭირო აღარ არის. ის გარემოება, რომ გოგონები მართლაც გზას აცდენილები იყვნენ, აღნიშნული მუხლით კვალიფიკაციაზე გავლენას ვერ მოახდენს. ნ-მ ისარგებლა აღნიშნული გარემოებით და არასრულწლოვანთა კიდევ უფრო გარყვნის და გახრწნის ხარჯზე დამატებითი შემოსავალი მიიღო. [94]

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ შეცდომებს აქვს ადგილი ასევე არასრულწლოვანის შრომით ექსპლუატაციის შემთხვევაშიც, რომელიც ასევე ტრეფიკინგის სახეა. მაგალითად შეიძლება მოოვიყვანოთ „ქუჩის ბავშვები“, რომლებიც ქუჩაში არიან დღე და ღამ და საზოგადოებას აწუხებენ. როგორც ცნობილია ხშირია ფაქტი, როდესაც ისინი თავიანთი ინიციატივით არ გადიან სამათხოვროდ. მათ მშობლები, უფროსები აიძულებენ იმათხოვრონ და ნაშოვნი თანხა მათ გადასცენ. ასეთ დროს პრაქტიკაში, ან საერთოდ არ დგება უფროსების პასუხისმგებლობა ან ეკისრებათ პასუხისმგებლობა სსკ-ის 171-ე მუხლით - არასრულწლოვნის მათხოვრობაში ჩაბმა, რაც არ არის სწორი პრაქტიკა. როგორც აღინიშნა, რომ როდესაც სახეზეა არასრულწლოვნის ექსპლუატაცია, იქნება ეს შრომითი თუ სექსუალური, არ აქვს მნიშვნელობა, და ამ გზით შემოსავლის მიღება, პასუხისმგებლობა უნდა დადგეს ტრეფიკინგისთვის, (სსკ 143^2). აღნიშნული საქმეების განხილვისას დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ სწორად გაიმიჯნოს ტრეფიკინგი და არასრულწლოვნის წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულებები.[95]

[94]იხ;იქვე.გვ 29-32.
[95]იხ; იქვე.

4.3. ტრეფიკინგიდაარასრულწლოვნისჩაბმამათხოვრობაში

„ორგანიზებული დანაშაული“ - ეს ცნება 1991 წელს გაეროს საერთაშორისო კონფერენციაზე განიმარტა, როგორც „დამნაშავეთა მართვადი, მყარი გაერთიანების საქმიანობა, რომლის წევრებისათვის დანაშაულის ჩადენა წარმოადგენს ბიზნესს და რომელიც კორუფციის დახმარებით ქმნის სოციალური კონტროლისგან დაცულ სისტემას“.[96]

ნარკოდანაშაულის მსგავსად, ტრეფიკინგი ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფების ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი საქმიანობაა. ბოლო წლებში მსოფლიოში ამ სფეროში მნიშვნელოვან პრობლემად იქცა არასრულწლოვნების პროსტიტუციაში ჩაბმა და ქუჩაში მათხოვრობის იძულება.საქართველოში მოწყალების თხოვნა ერთგვარ ბიზნესად იქცა, მოწყალების მთხოვნელი ბავშვები კი _ ექსპლუატაციის მსხვერპლად. ეს ინფორმაცია ახალი არავისთვის არაა, რადგან ყოველდღიურად ვხედავთ ქუჩაში ხელგაწვდილ პატარებს. ეს ფაქტი ბევრმა შესაძლოა სოციალური სიდუხჭირის შედეგს მიაწეროს, თუმცა საქმე ამაზე რთულადაა. ხშირად ბავშვები უფროსების მითითებებს იძულებით ასრულებენ და „გამომუშავებულ“ ფულსაც მათ აბარებენ. არასრულწლოვნები იმყოფებიან მშობლების ან ვინმე უფროსის გავლენის ქვეშ და ხშირ შემთხვევაში ეს ადამიანები იქვე ადევნებენ თვალყურს ბავშვებსაც, სადაც მოწყალებას ითხოვენ.[97]

მათხოვრობა ბავშვის შრომის გამოყენების ერთ-ერთი ფორმაა, როდესაც მოგების მიზნით ხდება არასრულწლოვნის დაშინება, შეურაცხყოფა და მოწყლების თხოვნის იძულება. ქუჩაში მათხოვრობის შემთხვევაში არის ბავშვის დასახიჩრების ფაქტები, იმისთვის რომ მათ მიმართ მეტი თანაგრძნობა და სიბრალულის განცდა გაუჩნდეთ. მათხოვრობის შემთხვევაში არის „ნებაყოფლობითი“ მათხოვრობა, როდესაც მთელი ოჯახი არის ჩართული ამ პროცესში და ბავშვებთან ერთად

[96]“ორგანიზებული დანაშაული” - მთავარი პროკურატურის ანალიტიკური სამმართველო.გვ1.

[97]დავით მესხიშვილი; დისერტაცია - „ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინოლოგიური და სისხლისსამართლებრივი დახასიათება საქართველოში“. 2012წ.გვ4-5.

უფროსებიც მოწყალებას ითხოვენ. ხოლო მეორე შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს იძულებითი. ამ დროს ბავშვს აიძულებენ იმათხოვროს იმ ადამიანების სასარგებლოდ, რომლებიც მისი ოჯახის წევრები არ არიან და არასრულწლოვნისგან ითვისებენ მთელ თანხას. ასეთი შემთხვევები ყველაზე მეტად გავრცელებული იყო და დაიწყო იტალიაში, სადაც ძირითადად ბავშვებს იყენებენ ჯიბის ქურდებად, ნარკოტიკების გადატანის მიზნითა და ფულის მოპარვისთვის. პრაქტიკული მაგალითებიდან გამომდინარე ის ბავშვები, რომლებიც ხდებიან იძულებითი შრომის მსხვერპლნი ასევე შეიძლება გახდნენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლიც. [98] თუმცა აქ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ რაც შორიდან შეიძლება ტრეფიკინგი გვეგონოს ასე სულაც არ იყოს, კერძოდ ძალიან ღარიბ ოჯახებში ხშირია შემთხვევები, როდესაც დედა შვილებთან ერთად მუშაობს ქუჩაში ყიდის რამეს ან მიწაზე ამუშავებს და სხვ. ამ დროს ბავშვი ვერ ახერხებს სწავლას, ასევე ასრულებს სამუშაოს, რომელიც საზიანოა მისი ჯანმრთელობისთვის, მაგრამ ამ ყველაფრის მიუხედავად ასეთი ტიპის ძალიან გაჭირვებულ ოჯახებში თავის გადარჩენის სხვა საშუალება არ არის, ამიტომ ეს ქმედება არც ბავშვებისთვისაა უცხო, პირიქით ბუნებრივი პროცესია, რომ უწევთ ლუკმაპურისთვის მუშაობა საკუთარი ძალებით. მსხვერპლთა ნაწილი თავს ვერ აღწევს ძალადობას და ტრეფიკინგის პოტენციური მსხვერპლი ხდება, მოძალადეს კი „მფარველად“ აღიქავმს. ამ შემთხვევაში მას აქვს განცდა, რომ დაცულია და მოძალადის მიმართ გამოხატავს კმაყოფილებასა და მადლიერებას, თუმცა ზოგნი თავის მეურვეს ძალადობაში ამხელენ (ქცევა არის ინდივიდუალური მსხვერპლის ფსიქიკის თავისებურებებიდან გამომდინარე). მაშინ, როცა მსხვერპლი ვერ ახერხებს თავისი მფარველისთვის იმ თანხის მიტანას რაც ევალება, ხშირია ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტებიც.[99]

ბავშვის უფლებათა კონვენციის 27-ე მუხლის თანახმად „მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ყოველი ბავშვის უფლებას ცხოვრების დონეზე,[100]

[98] იხ.; სქოლიო 10

[99] გ. მამულაშვილი, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები და ქართულ სისხლის სამართალში, თბ.,2012, გვ 422-424.

[100] კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ (1989წლის 20 ნოემბერი). 27-ე მუხლი.

რომელიც აუცილებელია ბავშვის ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის“. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლში ეს ტერმინი „ცხოვრების ისეთ დონეს, საკვების, ტანისამოსის, საცხოვრებლის, სამედიცინო და საჭირო სოციალური უზრუნველყოფის ჩათვლით, რომელიც აუცილებელია მისთვის და მისი ოჯახის ჯანმრთელობის და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად“. ხოლო ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლში იგი მოიცავს „სათანადო კვებას, ტანისამოსს და საცხოვრებელს“. ხოლო ბავშვს აქვს უფლება „ცხოვრების დონეზე, რომელიც აუცილებელია ბავშვის ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის“. [101]

ბავშვის უფლებათა კოდექსის 10, 11, 12, მუხლებში საუბარია - განათლების უფლებაზე - „ბავშვს აქვს ხარისხიანი და ინკლუზიური განათლების მიღების და მასზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლება“; ჯანმრთელობის დაცვის უფლება - „ბავშვს აქვს ჯანმრთელობის უმაღლესი სტანდარტით დაცვის უფლება“; უვნებელ გარემოში ცხოვრების, განვითარების და სოციალური დაცვის უფლება - „ბავშვს უფლება აქვს ცხოვრობდეს უვნებელ გარემოში, სადაც უზრუნველყოფილია ყველა პირობა მისი ჰარმონიული განვითარებისა და კეთილდღეობისთვის“.[102]

[101] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (16/12/1996). 11 მუხლი.

[102] „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ (რეგისტრაციის N 07-3/282/9, ინიცირებული ვარიანტი, საქართველოს კანონის პროექტი); 10;11;12 მუხლები.

თავიV

კვლევისშედეგები

საკითხისკვლევამდაწარსულისისტორიამგვიჩვენათურაოდენძლიერადჰქონდა ტრეფიკინგსფესვებიგადგმული, როგორცჩვენს,ასევესხვაქვეყნებში. ადამიანისსიცოცხლესმართლაცრომჩალისფასიცკიარჰქონდა. მათიმთლიანიპიროვნებაუგულებელყოფილიიყო. მონებიიყვნენნივთები, რომლებსაცუბრალოდსაუბარიშეეძლოთ.

გარკვეულიპერიოდისშემდეგსაკითხისმიმართდამოკიდებულებანელ-ნელაშეიცვალა, რასაცმთელირიგირეგულაციებიმოწმობს, რომელიცგანხორციელდაამტიპისდანაშაულისაღმოსაფხვრელადდაბუნებრივია,დღემ დემიდისმუშაობაამსაკითხზე. ცნობიერებისამაღლებასდასაკითხისპრობლემურობისგამოაშკარავებასხელსუწყობდნე ნმწერლებითუსაზოგადომოღვაწეებითავიანთინაშრომებით, რაციმდროსძალიანმნიშველოვანიიყო, რადგანხალხსარესმოდათურაოდენმძიმეიყოესქმედება. აღნიშნულიდამოკიდებულებაკიგანპირობებულიიყოწარსულისგამოცდილებით, როცაადამიანებს,როგორცნივთებსისეყიდდნენდაამისწესებიცკიარსებობდათუ როგორუნდაგაეყიდათანეყიდათ, ესკიჩვეულებრივირამიყომათთვის.

ტრეფიკინგისგანგამოწვეულიპრობლემაარამხოლოდადამიანისინდივიდუალუ რობისდაკარგვადაკონკრეტულიპიროვნებებისჩაგვრაიყო, არამედუფროდიდიპრობლემების გამომწვევი მიზეზიგახდა, როცა მასშტაბურიხასიათიმიიღო, კერძოდდემოგრაფიულიპრობლემა, ტერიტორიებისდაკარგვა, ეკონომიკურიპრობლემა (სიღარიბე),

რამაცხელიშეუწყოპროსტიტუტთადაუპატრონობავშვებისრაოდენობისზრდას, შესაბამისადაღნიშნულმაგაოიწვიაჯანმრთელობისათუსხვამრავალიპრობლემა.

მიუხედავადიმისა, რომდაწესდარეგულაციებიდაკანონიცდილობსდაიცვასადამიანისუფლებებიამკუთხით, ჩვენსსაუკუნეშისახეცვლილივარიანტიგვაქვსადამიანითვაჭრობისა, კერძოდგაჭირვებულიადამიანი, რომელიცმიდისლუკმაპურისსაშოვნელადსაზღვარგარეთთვითონვეთანხმდებაშეთავაზებასდახდებატრეფიკიორთამსხვერპლი, ესკიბუნებრივიაგანპირობებულიასოციალურ-ეკონომიკურიმდგომარეობით.

ამსაკითხისყველაზემტკივნეულინაწილიაბავშვებიდაბავშვთატრეფიკინგი, რადგანსწორედისინიშეადგენენმსხვერპლთადიდნაწილს. ამასგანაპირობებსსწორედმათიასაკი, გამოუცდელობადაგულუბრყვილობა. ნაშრომშიაღწერილიამთელირიგიმუხლებისჩამონათვალი, რომელიცგამოიყენებაამდანაშაულისაღმსრულებლისმიმართ, მიუხედავადამისასაკითხიდღემდემწვავედდგასდაესპრობლემაარკარგავსაქტუალობას. შესაბამისად ამ საკითხის კვლევის შედეგმა გვაჩვენა, რომ ბავშვზეძალადობაუარყოფითზეგავლენასახდენსროგორცბავშვისჯანმრთელობასადაგანვითარებაზე, ასევეოჯახებსადასაზოგადოებაზე. ძალადობა განცდილბავშვებსდარღვეულიაქვთკავშირიუფროსებთან, არაქვთთანატოლებთანურთიერთობისუნარი, მწირიცოდნისადასაჭიროუნარებისნაკლებობისგამოვერახერხებენავტორიტეტისმოპოვებასსკოლაშიდასაზოგადოებაში, ზოგჯერაღიარებასკრიმინალურდაასოციალურგარემოშიპოულობენ; აღენიშნებათალკოჰოლისადანარკოტიკებისმიმართლტოლვა. ზრდასრულასაკში, ოჯახისშექმნისას, შესაძლოასერიოზულმასირთულეებმაიჩინოსთავი.

ადამიანითვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლისმომსახურებითსარგებლობისკვლევისშედეგადშეიძლებაითქვას, რომკანონმდებელიცდილობსშეამციროსტრეფიკინგისკლიენტებისმოთხოვნილება.

არწაახალისონადამიანითვაჭრობისგანვითარება. შეიძლებაითქვას, რომსაქართველოფეხდაფეხმისდევსსაერთაშორისოსამართლისსტანდარტებსდაითვალისწინებსევროკონვენციისმითითებებს, რაცმნიშვნელოვანიაგანვითარებადისახელმწიფოსთვის. აქვეაღნიშნულია, რომტრეფიკინგისკანონმდებლობაშიასახვისსიახლისმიუხედავად, საქართველოსკანონმდებლობაარჩამორჩასაერთაშორისოსტანდარტებსდამოახერხაშემჭიდროვებულვადებშიმოეხდინასაკუთარისაკანონმდებლობაზისსაერთაშორისოსტანდარტებთანსრულშესაბამისობაშიმოყვანა, რითაცმსოფლიოსაზოგადოებისადაექსპერტებისუმაღლესიშეფასებადაიმსახურადაადამიანთატრეფიკინგისწინააღმდეგბრძოლაშიწარმატებისმხრივლიდერსახელმწიფოთაშორისჩადგა.

დასკვნა

დასკვნისთვის შეიძლება ითქვას, რომ საქართელოში და საერთოდ მთელს მსოფლიოში დავინახეთ რაოდენ მნიშვნელოვან პრობლემასთან გვაქვს საქმე. პრობლემასთან, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ებრძვის მთელი მსოფლიო. კვლევამ და პრაქტიკის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ჩვენს ქვეყანაში ბოლო პერიოდის განმავლობაში ტრეფიკინგის წინააღმდეგ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. წარმოჩნდა აღნიშნული დანაშაულის ბრძოლის ხელისუფლების პოლიტიკური ნება, რატიფიცირება გაუკეთდა გაეროს შესაბამის კონვენციას, ოქმებს, გატარდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები დანაშაულის შესამცირებლად, აღმოსაფხვრელად.

საქართველოში ტრეფიკინგის საფრთხე მოქალაქეებისთვის არ შეიძლება ჩაითალოს გაქარწყლებულად. ტრეფიკინგის მხრივ კვლავ პრობლემად რჩება მაგალითდ, გამოძიების დროს დაზარალებულის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, პირადი მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა და ბევრი სხვა მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი.

ტრეფიკინგითავისიტრანსნაციონალურიბუნებიდანგამომდიანრე, სისტემატურადგანიცდისცვლილებას. ტრეფიკიორებიმსოფლიოსმასშტაბითცვლიანექსპლუატაციისხერხებსადასაშუალებებს, რაცმსოფლიოსყველაქვეყანასაყენებსგამოწვევისწინაშე, კანონდებლობადაინსიტუციურიმექანიზმებიტრეფიკინგისთანამედროვეფორმებსმოარგოს.

საქართველო, როგორც დავინახეთ არის იმ ქვეყნებს შორის, რომელიც ცდილობს თავდაუზოგავად, რომ აღმოფხვრას აღნიშნული დანაშაული, თუმცა ჯერ კიდევ დიდი ნაბიჯებია გადასადგემელი. როგორც ჩვენთვის ცნობილია განვითარებული ქვეყნებში ადამიანით ვაჭრობა უფრო დიდ და საშიშ მასშტაბებს იღებს და მივალთ იმ გადაწყვეტილებადე, რომ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები, რომელიც შეიძლება ითქვას რომ წარმატებულია, არის ჯერ კიდევ დასაწყისი.

გამოყენებულილიტერატურა

1. ბაქრაძე ლ. 1878. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში

2. მიხეილ ბაძაღუა. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინოლოგიური დახასიათება. საქართთველოს მაგალითზე. თბილისი. 2010.

3. პაატა გუგუშვილი, ტყვეობით ვაჭრობა საქართველოში, მნათობი, N11.ნოემბერი 1938წ.

4. დოლიძე ი. 1963. ქართული სამართლის ძეგლები. თბილისი. ტომი I.

5. მზია ლეკვეიშვილი. ნონა თოდუა. გოჩა მამულაშვილი. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი I. გამომცემლობა მერიდიანი.

6. გივი ლობჟანიძე. ტრეფიკინგის სამართლებრივი ასპექტები. თბილისი 2006.

7. ცხოვრება და კანონი _ საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკული ჟურნალი N3(27,2014). თამარ ებრალიძის სტატია.

8. ირინე ხერხეულიძე. ტრეფიკინგში „მიწოდება _ მოთხოვნის ბაზარი“_რეალობა, საფრთხეები და მის მესამცირებლად მიმართული ტენდენციები.

9. მარინა მესხი - „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სამართლებრივი ასპექტები, მასთან ბრძოლის მეთოდები, გამოცდილება და პერსპექტივათა ხედვა“.

10. დავით მესხიშვილი; დისერტაცია - „ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინოლოგიური და სისხლისსამართლებრივი დახასიათება საქართველოში“. 2012წ.

11. ჯემალ ჯანაშია. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო და შიდა ეროვნული სამართლებრივი მექანიზმები და რეგულაციები. თბილისი. 2015 წ.

12. დ.ჯულუხაძე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ტრეფიკინგისთვის, თბ. 2006

13. ბაჩანა ჯიშკარიანი. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ.

14. ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. თბილისი 2012.

15. დიდი საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი 15. მოსკოვი 1974.

16. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი IV. თბილისი 1973.

17. ბავშვის უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 27 სექტემბრის 1675 დადგენილებით

18. კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ (1989წლის 20 ნოემბერი).

19. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. თბილისი 2018.

20. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (16/12/1996).

21. „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ (რეგისტრაციის N 07-3/282/9, ინიცირებული ვარიანტი, საქართველოს კანონის პროექტი).

22. ტრეფიკინგის ევროპული კონვენცია - https://rm.coe.int/168008371d.

23. საქართველოს სტატისკის დეპარტამენტის ვებ გვერდი. www.statistics.ge

24. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი- http://phf.org.ge/ka/

25. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი - www.nplg.gov.ge

26. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (16/12/1996). 11 მუხლი.

27. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი - ფსიქოლოგი ეკატერინე (ქეთევან) თავართქილაძე.

28.